# აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკეობით

№5 (25.183) 14 თებერვალი, 2025 წ. 50 თეთრი


### გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია წვიმა, მაღალ მთაში - თოვა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 7-12, მთიან რაიონებში - 3-8 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი ყინვა. ზღვის წყლის ტემპერატურა 9 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 767 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

# ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ბათუმური დღეები

**მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97**

*10 თებერვალს ბათუმის ყინულის ახალი სასახლე ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „ბაკურიანი 2025“-ის ეგიდით გამართულ ციგურებით რბოლას (ბიჭები, 1500 მეტრი) მასპინძლობდა, ხოლო 12 თებერვალს შეჯიბრება ფიგურულ ციგურაობაში გაიმართა, სადაც გოგონები მოკლე პროგრამით გამოვიდნენ*

სპორტსმენთა შორის გახლდათ საქართველოს წარმომადგენელი ინგა გურგენიძე, რომელიც მეხუთე ჯგუფთან ერთად გამოვიდა. 15 წლის სპორტსმენი საერთაშორისო დონეზე უკვე მესამე წელია, ასპარეზობს და ხუთი სხვადასხვა სინჯის მედალი აქვს მოპოვებული. საფესტივალო გამოსვლა მან მესამე ადგილით დაასრულა. ინგა თავისუფალი პროგრამით წარსდგა.

მოკლე პროგრამით გამოსვლის შემდეგ **ინგა გურგენიძემ** მედიასთან კომენტარში აღნიშნა: „კმაყოფილი არ ვარ, რადგან უკეთ შემეძლო გამოსვლა, ვფიქრობ, თავისუფალი პროგრამით ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმს ვაჩვენებ. მთავარი ახლა ჩემთვის სუფთად სრიალია. მადლობა ჩემს გულშემატკივრებს, ასეთი მხარდაჭერა არასოდეს მქონია. ძალიან სასიხარულოა, რომ მაყურებელი მოვიდა ჩემს სანახავად და საგულშემატკივროდ“.

**ლიუდმილა გაფაროვა, ინგა გურგენიძის მწვრთნელი:** „კმაყოფილი არც მე ვარ, შეიძლებოდა უკეთ გამოსვლა. ვფიქრობ, ამის მიზეზი ისაა, რომ ინგა ასეთ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე პირველად გამოვიდა და მღელვარება ვერ დასძლია. ვფიქრობ, რომ თავისუფალში უფრო მოიკრებს ძალებს და უკეთესი შედეგი გვექნება. ჩავთვალოთ, რომ გუშინ ყინული „მოვსინჯეთ“, ხვალ ძალებს მოვიკრებთ. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან ძლიერი მოწინააღმდეგეები გვყავს. ვფიქრობ, ვინც თავისუფალში სუფთად ისრიალებს, ის გაიმარჯვებს. ინგა ამჯერად, სამ-ნახევარი აქსელის კომბინაციას აუცილებლად შეასრულებს“.

**მაია ხაჯიშვილი, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი:** „ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ქალაქში ხელახლა იწერება იმ სახეობის სპორტის ისტორია, რომელიც ლამაზ ტექნიკასთან, ზოგადად - სილამაზესთან ასოცირდება, ის იქნება ჩვენი ქალაქის სავიზიტო ბარათი. ახალგაზრდული ფესტივალი, რომელიც ბაკურიანთან და თბილისთან ერთად იმართება ჩვენს ქალაქში, არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჩვენი, როგორც სპორტული ქვეყნის წარმოჩენისთვის და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ჩვენ მზად ვართ ნებისმიერი ფართომასშტაბიანი ღონისძიების მასპინძლობისთვის. მინდა ქართველმა სპორტსმენებმა ამ ფესტივალზე წარმატებით იასპარეზონ, რაც ახალგაზრდების, ახალი თაობის სპორტში მოზიდვისთვის კიდევ ერთი დამატებითი მოტივაცია გახდება. მოლოდინი მაქვს, რომ ინგა გურგენიძე სამეულში მოხვდება“.

ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ბათუმური დღეები გრძელდება.





# ბიუჯეტი შარშანდელთან შედარებით 4 805 972 ლარით გაიზარდა

*აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერთან ზაზა დიასამიძესთან ერთად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებს, მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებს შეხვდა და სამინისტროს 2025 წელს დაგეგმილი პროგრამები და სიახლეები გააცნო*

სამინისტროს ინფორმაციით, უწყების 2025 წლის ბიუჯეტი, შარშანდელთან შედარებით, 4 805 972 ლარით გაიზარდა და 36 820 550 ლარს შეადგენს. იგი 17 პროგრამას და 12 ქვეპროგრამას მოიცავს.

„აჭარის მთავრობის მხარდაჭერით, სამინისტრო 2025 წელს განახორციელებს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამას, დაფინანსებული იქნება არანაკლებ 2 500 პროექტი, რომლის ბიუჯეტი მიმდინარე წელს არის 3 856 000 ლარი.

ფერმერების ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარე წელსაც გაგრძელდება სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების უფასოდ დამუშავება. პროგრამის ფარგლებში, 2 438 ჰექტარ ფართობზე მეტი დამუშავდება შესაბამის აგროვადებში, რისთვისაც დაიხარჯება 1 629 008 ლარი. 2025 წელს გაგრძელდა აგრარული ექსტენციის მიწოდება რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების მიმართულებებით, ფერმერები და აგრომეწარმეები საველე პირობებში გადიან სწავლება-კონსულტირებას.

შეხვედრას მინისტრის პირველი მოადგილე, საქართველოს პარლამენტის და აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირები და პროგრამების განხორციელების დეპარტამენტის თანამშრომლები ესწრებოდნენ“, - ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.




ISSN 2720-8702



## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

# მმართველი გუნდი ახალი კანონების მისაღებად ემზადება, USAID-ის ბედი კი გაურკვეველია

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

*მალე მმართველი ძალა ახალ კანონებს მიიღებს, რომლებიც ამერიკული „ფარას“ და **BBC**-ის სტანდარტით ცნობილი ბრიტანული მედიის რეგულირების შესახებ კანონის ანალოგი იქნება. „ქართული ოცნება“ „ფარას“ ორი თვის განმავლობაში გადათარგმნის და შემდეგ საჯარო მსჯელობას მოაწყობს. საპარლამენტო უმრავლესობა, ამერიკული „ფარას“ ანალოგიური კანონის მიღების შემდეგ, გააუქმებს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონს*

როგორც მოგეხსენებათ, შარშან პარლამენტმა მიიღო ამერიკული „ფარას“ შერბილებული ვერსია, რომელიც ჯერ სრულფასოვნად არ ამოქმედებულა, რადგან რეესტრში რეგისტრაცია არ გაუვლია რამდენიმე ათეულ მსხვილ არასამთავრობო ორგანიზაციას. აღნიშნულ კანონს მოჰყვა საზოგადოების ნაწილის უკმაყოფილება და აქციები.




„ფარა“ რეგისტრაციას და ფინანსურ გამჭვირვალობას ავალდებულებს იმ ლობისტურ კომპანიებს თუ ფიზიკურ პირებს, რომლებიც უცხო ქვეყნების გავლენებით და ინტერესებით მოქმედებენ.

სახელისუფლებო გუნდში აცხადებენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი კანონის, „ფარას“ ანალოგის ქართულ რეალობაში დანერგვა გააძლიერებს ქვეყნის სუვერენიტეტს და დაამკვიდრებს გამჭვირვალობის მაღალ სტანდარტს. როგორც პრემიერმა ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, საქართველოში ვეღარავინ უნდა სცადოს არასამთავრობოებისა და უცხოური დაფინანსების მეშვეობით მორიგი რევოლუციის მოწყობის მცდელობა.

„შარშან მივიღეთ ამერიკული „ფარას“ რბილი ვერსია, ამ კანონსაც პატივს არ სცემენ კონკრეტული ორგანიზაციები. ყველაფრის გათვალისწინებით და, მათ შორის, იმ მოვლენების ფონზე, რაც აშშ-ში განვითარდა, ამერიკული „ფარას“ „კოპირების“ გადაწყვეტილება მივიღეთ. ერთი საინტერესო დეტალი დაერთო ამ ყველაფერს - აშშ-ში გაკეთდა განცხადებები „ფარას“ შერბილების თაობაზე. მეორე, რაც ამ ყველაფერს ემატება: ევროკავშირს უნდოდა მსგავსი კანონის მიღება და მათ პირდაპირ, ოფიციალურად განაცხადეს, რომ საქართველოში ანალოგიური კანონის მიღების გამო ვეღარ იღებენ ევროკავშირში ამ კანონს, რადგან მაშინ მორალური უფლება აღარ ექნებოდათ, რომ საქართველო გაეკრიტიკებინათ იმავე კანონის გამო. ახლა უცნაურად დაემთხვა ჩვენი განცხადება აშშ-ში „ფარას“ კანონის შერბილებაზე საუბარს და აქ შეიძლება, „დიფ სთეითის“ ხელი ერიოს. ამას მომავალი გვიჩვენებს. რაც შეეხება ჩვენს რეალობას, ხედავთ, რომ გასული 4 წლის განმავლობაში საქართველოში რევოლუციის მოწყობის 4 მცდელობა იყო. ამ 4 მცდელობაში ჩართული იყვნენ უცხოელი აგენტები, უცხოეთიდან დაფინანსებული „ენჯეოები“. ამას, რა თქმა უნდა, სათანადო ყურადღება სჭირდება. „გამჭვირვალობის შესახებ კანონი“ განკუთვნილია იმისთვის, რომ საქართველოში ვეღარავინ სცადოს „ენჯეოებისა“ და უცხოური დაფინანსების მეშვეობით მორიგი რევოლუციის მოწყობის მცდელობა. ეს არის კატეგორიულად მიუღებელი. ჩვენ უნდა დავუპირისპირდეთ უცხოურ აგენტურას, „ენჯეოების“ მეშვეობით რევოლუციების მოწყობის მცდელობას. ეს არის ჩვენი პასუხისმგებლობა ქართული სახელმწიფოს და ქართული საზოგადოების წინაშე“, - განაცხადა პრემიერმა ირაკლი კობახიძემ.

რაც შეეხება ოპოზიციას, მათი მხრიდან მწვავე განცხადებების თემად იქცა ამერიკული „ფარას“ ქართულ რეალობაში გადმოტანის გადაწყვეტილება.

ოპოზიცია „ფარას“ რეგულაციის კოპირებას იმის დასტურად მიიჩნევს, რომ შარშან მიღებულ „უცხოური გამჭვირვალობის შესახებ“ კანონს ამერიკულ კანონმდებლობასთან საერთო არაფერი აქვს.

„ჩემთვის ნამდვილად სასაცილოა, თუ როგორ ვერ გაყიდა სამი წლის მანძილზე ირაკლი კობახიძემ და ივანიშვილის რეჟიმმა „რუსული კანონი“ ყალბ გამჭვირვალობად, ან ის, რომ ეს ამერიკულია და ახლა კიდევ ახალი სერია მოიგონეს კონსპირაციების. სასაცილოა მათი განმარტება, რომ ახლა, თურმე, უკვე მიღებული „რუსული კანონი“ აღარ უნდათ და უფრო მკაცრი ამერიკული კანონი უნდა მოიტანონ მიუხედავად იმისა, რომ მაშინაც ამბობდნენ, რომ ის კანონი ამერიკული იყო“, - განაცხადა „გახარია საქართველოსთვის“ წევრმა თეონა აქუბარდიამ.

ოპოზიციამ გააკრიტიკა კიდევ ერთი ინიციატივა, რომელიც მედიას ეხება. ოპოზიციაში ამბობენ, რომ ამ კანონის მიღებით მედია შეიზღუდება.

***„მმართველი გუნდი კანონმდებლობითაც ცდილობს, ჩაახშოს და გააჩუმოს განსხვავებული კრიტიკული აზრი საქართველოში, მაგრამ ამას ის ვერ შეძლებს“, - აცხადებს „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე თინა ბოკუჩავა. სახელისუფლებო პარტიაში კი აცხადებენ, რომ ეს ინიციატივა დეზინფორმაციასთონ ბრძოლას ემსახურება. მათი თქმით, ე.წ ფეიკნიუსების ეპოქაში მნიშვნელოვანია, მათი პრევენციის ქმედითი მექანიზმი არსებობდეს***

„მმართველი გუნდი კანონმდებლობითაც ცდილობს, ჩაახშოს და გააჩუმოს განსხვავებული კრიტიკული აზრი საქართველოში, მაგრამ ამას ის ვერ შეძლებს“, - აცხადებს „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე თინა ბოკუჩავა.

სახელისუფლებო პარტიაში კი აცხადებენ, რომ ეს ინიციატივა დეზინფორმაციასთონ ბრძოლას ემსახურება. მათი თქმით, ე.წ ფეიკნიუსების ეპოქაში მნიშვნელოვანია, მათი პრევენციის ქმედითი მექანიზმი არსებობდეს. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ მამუკა მდინარაძის თქმით, კანონით დადგინდება ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტები.

„კანონით დადგინდება მედიის ობიექტურობის, აგრეთვე ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტები. განისაზღვრება აღნიშნული სტანდარტების მონიტორინგის და დაცვის ინსტიტუციური მექანიზმები. შეიზღუდება მედიასაშუალების დაფინანსება უცხოური წყაროებიდან. ბუნებრივია, ეს არ შეეხება კომერციული რეკლამებიდან მიღებულ და სხვა ამგვარ შემოსავლებს“, - განაცხადა მდინარაძემ.

პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის თქმით, მედიასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები ეხება სიცრუისა და სიძულვილის გავრცელების აღმოფხვრას.




„იცით, რომ სიცრუე და სიძულვილი ლიბერალური ფაშიზმის მთავარი იარაღებია, რასაც იყენებდა „დიფ სთეითი“ საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ, განსაკუთრებით ბოლო 4 წლის განმავლობაში.

როდესაც საუბარია მედიასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე, აქ ერთადერთი, რასაც შეიძლება შეეხებოდეს ეს ცვლილება, არის სიცრუესთან და სიძულვილის გავრცელებასთან დაკავშირებული საკითხები. თუ ვინმეს ეშინია იმის, რომ თავისუფლად ვეღარ მოახერხებს სიცრუის გავრცელებას, სიძულვილის თავისუფლად ტირაჟირებას, ეს არის, რა თქმა უნდა, მისი პრობლემა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სიცრუე და სიძულვილი არის ერთ-ერთი უმთავრესი ეროვნული გამოწვევა ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი საზოგადოებისთვის და, შესაბამისად, აქ არის საჭირო ახალი რეგულაციები, რა თქმა უნდა, ყოველგვარი ცენზურის გარეშე, ყოველგვარი შელახვის გარეშე იმ ძირითადი უფლებისა, რასაც ჰქვია მედიის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება. ბუნებრივია, საუბარია ისეთ საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომელიც იქნება, თავიდან ბოლომდე, თავსებადი ჩვენს კონსტიტუციურ პრინციპებთან და საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპებთან,“ - აღნიშნა პრემიერმა.

იხ. მე-4 გვ.

## ქრონიკა

კულტურის მიმართულება აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გამოეყოფა და ცალკე უწყებად ჩამოყალიბდება. აჭარის მთავრობის თავმჯდომარის განცხადებით, ახალი სამინისტროს ფორმატი რეგიონში კულტურის განვითარებას მეტად შეუწყობს ხელს. ჯერჯერობით უცნობია, ვინ უხელმძღვანელებს ახალ უწყებას. „დღეს არსებული სამინისტროს შემადგენლობაში რამდენიმე სხვადასხვა სფეროა და ის აერთიანებს საკმაოდ სპეციფიკურ მიმართულებებს, ამიტომ მიღებულია გადაწყვეტილება, რომ აჭარაში კულტურის სამინისტრო გამოიყოს ცალკე. ჩვენი რეგიონი მდიდარია კულტურული რესურსებით და ახალი სამინისტროს ფორმატში შესაძლებელი იქნება, კიდევ უფრო ეფექტიანად განხორციელდეს დარგობრივი პოლიტიკა, კიდევ უფრო მეტად განვითარდეს ჩვენი ქალაქის კულტურული ცხოვრება, ასევე, კიდევ უფრო მეტად იზრუნოს სახელმწიფომ ხელოვნებისა და კულტურის მუშაკებზე“, - განაცხადა მედიასთან თორნიკე რიჟვაძემ.

* * *

რუსთაველისა და გოგებაშვილის ქუჩების რეაბილიტაცია დაიწყო. სამუშაოებისთვის 22 მილიონამდე ლარია გათვალისწინებული. პროექტის ფარგლებში არსებული ქვაფენილი სამფენიანი ასფალტის საფარით ჩანაცვლდება, მოეწყობა მიწისქვეშა კომუნიკაციები, ტროტუარი, ბორდიურები, გზაგამყოფი ზოლი მწვანე საფარითა და დეკორატიული ნარგავებით, გაკეთდება უსაფრთხოების კუნძულები, შუქნიშნები და საგზაო ნიშნები. ბათუმის მერია მოსახლეობას აფრთხილებს, რომ მაისის ბოლომდე საავტომობილო მოძრაობა ორმხრივად შეიზღუდება რუსთაველის ქუჩაზე - ალექსანდრე გრიბოედოვისა და დემეტრე თავდადებულის ქუჩებს შორის მონაკვეთში. ორმხრივი სატრანსპორტო მოძრაობა აღდგება ნინოშვილის, გრიბოედოვისა და ჭავჭავაძის ქუჩებზე. ქუჩების რეაბილიტაციის პეროდში შეიცვლება მუნიციპალური ავტობუსების მოძრაობაც.

* * *

„ოცნების ქალაქის“ პროექტის მეორე ეტაპი დაიწყო. მშენებლობის სიმბოლური კაფსულა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძესთან ერთად ჩადო. პროექტი ქალაქ ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირ №88-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო სამუშაოებს (მეორე ეტაპი) ითვალისწინებს. მშენებლობის პროექტის მიხედვით, სამშენებლო კომპანია „ანაგი“ 9 მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს ააშენებს. „ოცნების ქალაქის“ მშენებლობის მეორე ეტაპზე დამატებით 1077 ბინა მოეწყობა. პროექტი 36 თვეში დასრულდება. საცხოვრებელი სახლები გაზმომარაგების, წყლის, წყალარინების და ყველა საჭირო საინჟინრო-კომუნალური ინფრასტრუქტურით აღიჭურვება. ტერიტორიაზე მოეწყობა პარკინგი, ასევე განხორციელდება ეზოების გამწვანება და კეთილმოწყობა. შენობა შშმ პირებზე ადაპტირებული იქნება.

* * *

„ოცნების ქალაქის“ პროექტის მეორე ეტაპის განაშენიანების დეტალური გეგმა მომზადდა. ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის მიხედვით, პროექტის ახალი ეტაპი უკვე მთლიანი ტერიტორიის სწორ ურბანულ განვითარებას, საცხოვრებელი, საგანმანათლებლო და რეკრეაციული სივრცეების შექმნას გულისხმობს. საცხოვრებელი ბინების მშენებლობასთან ერთად ტერიტორიაზე საჯარო სკოლა და საბავშვო ბაღი აშენდება. მოქალაქეებს ადგილზე ასევე სხვადასხვა სერვისებზე წვდომის შესაძლებლობა ექნებათ. „ოცნების ქალაქის“ მშენებლობის პირველ ეტაპზე, თანამედროვე სტანდარტების, სამი 12-სართულიანი საცხოვრებელი სახლი აშენდა. 582 ოჯახს ბინა საკუთრებაში უკვე გადაეცა, რითაც 800-მდე ბავშვისთვის ჯანსაღი საცხოვრებელი პირობები შეიქმნა. მოქალაქეებს ე. წ. თეთრი კარკასით და ყველა კომუნალური სისტემით გამართული ბინები საკუთრებაში გადაეცათ. მოეწყო საბავშვო ატრაქციონები და ეზოების გამწვანება განხორციელდა.

# „ამ კონფიგურაციაში არის საძიებელი დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს მომავალი“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

***დემონსტრაციები, ურთიერთდაპირისპირება დღევანდელი საქართველოს მწარე რეალობაა, რაც, გარკვეულწილად, გამოწვეულია არჩევნების შედეგებითა და ევროკავშირთან მიმართებით ხელისუფლების განცხადებით. ოპოზიციის თქმით, გაყალბებული არჩევნები ქვეყანას ყოველმხრივ აზარალებს, თუმცა მმართველი პარტია აცხადებს, რომ არჩევნები სანიმუშოდ ჩატარდა, ხოლო ევროკავშირთან საქართველოს დაახლოების პროცესი ამ გაერთიანებამ თავად შეაჩერა. ამ კრიზისულ სიტუაციაში საქართველოსთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მმართველი გუნდისა და ოპოზიციის მიზნების გარკვევა, არამედ დასავლეთის ვერდიქტი საქართველოსთან მიმართებით***

*დასავლეთის სახელმწიფოების მხრიდან თუ გაგრძელდა საქართველოს ხელისუფლების არაღიარების პროცესი, ეს, ცხადია, ჩვენს ქვეყანას მნიშვნელოვნად დააზარალებს საშინაო და საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით. ისიც უდავოა, რომ ჩვენი ქვეყნის მიმართ ზესახელმწიფოებს თავიანთი ინტერესები ამოძრავებთ... თუ როგორ მოაგვარებს და გადაწყვეტს ხელისუფლება ამ საკითხებს, მნიშვნელოვნად განაპირობებს საქართველოში პროგრესს ან რეგრესს ათეულობით წლის განმავლობაში. ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე გვესაუბრება სტრატეგიული კვლევების ხელმძღვანელი, პოლიტიკის ანალიტიკოსი* ***ვაჟა ბერიძე.***

***- როგორ შეაფასებთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, თუნდაც უახლესს - სამი ოპოზიციური გაერთიანების დეპუტატებს უფლებამოსილება შეუწყდათ, პარლამენტი სახელისუფლო დარბაზად მოგვევლინება?***

- რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, მოსალოდნელი იყო. სამ ათეულ წელზე მეტია, ფორმალურად მაინც, დამოუკიდებლები ვართ და ჩვენზეც ვრცელდება უნივერსალური პრინციპი, რომ იმპერიების ნანგრევებზე აღმოცენებულმა ყველა ქვეყანამ, მაკედონელის იმპერიის დაშლიდან მოყოლებული, უნდა დაამტკიცოს, რომ სუვერენიტეტის და, ზოგადად, არსებობის ღირსია, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. თუ გავიხსენებთ იმდროინდელ ფაქტებს, მხოლოდ პტოლემიდების ეგვიპტემ შეძლო რამდენადმე ხანგრძლივი პერიოდით არსებობა. ასეა საბჭოთა კავშირის დაცემის და კრახის შემდეგაც. ბალტიისპირეთის ქვეყნებმა მოასწრეს და გააღწიეს რუსული გავლენის არეალიდან, ისარგებლეს რა მისი დასუსტებით, ხოლო დანარჩენებს, იმათაც, ვისაც სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და იმათაც, ვინც დღევანდელი ფორმით საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა, უნდა დაამტკიცონ, რომ თავისუფლების და სუვერენიტეტის ღირსები არიან. რა თქმა უნდა, მათ შორისაა საქართველოც. თუ ამ პრიზმაში შევხედავთ მიმდინარე მოვლენებს, არაფერი მოულოდნელი არ ხდება. საქართველო უმძიმესი პრობლემების წინაშე დგას, სერიოზულია დეპოპულაციის საფრთხე - ქვეყანა მოსახლეობისგან იცლება, მათ შორის, შრომისუნარიანი ადამიანებისგან, ახალგაზრდებისგან. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის იმედი, ფაქტობრივად, დაკარგულია. ამ მიმართულებით დასავლეთი ეფექტიანად ვერ დაგვეხმარა, შესაბამისად, მოქალაქეების განწყობა პერსპექტივის და ხვალინდელი დღის მიმართ სკეპტიკური გახდა. ბუნებრივია, ამას მოჰყვა სერიოზული პოლიტიკური ბატალიები მმართველ ძალასა და ოპოზიციას შორის, სადაც ერთ მხარესაა არაფორმალური მმართველობა, ხოლო მეორე მხარეს - ის ყბადაღებული ცხრაწლიანი პერიოდი, ბევრისთვის ავადმოსაგონარი რეალობა. მაშინდელი ფაქტობრივი ავტორიტარიზმი და დღევანდელი ნაბიჯები ავტოკრატიისკენ იძლევა იმ კონკრეტიკას, რაც დღეს გვაქვს.

**- რამდენად მოსალოდნელია, რომ ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის ეს ხანგრძლივი დაპირისპირება უფრო მწვავე ფაზაში შევიდეს?**

- ამაზე მწვავე ფაზა სამოქალაქო ომია. რომ არა „ტრამპის ეფექტი“, რომელიც ჯერ გაურკვეველია, როგორ აისახება საქართველოს რეალობაზე, უკვე სამოქალაქო ომის რეალური საფრთხის წინაშე ვიდგებოდით. აქ არის ორი შეურიგებელი მხარე, ორი სერიოზული შიდა და გარე ძალა, მრავალპლასტიანი შრეებით გამაგრებული. ასეთ ვითარებაში სამოქალაქო ომს ვერაფერი დაუდგებოდა წინ. ახლა კი, ვნახოთ - მწვავე ფაზაში გადასვლაც რეალურია და იძულებითი ზავიც.



**- ვითარება რომ განიმუხტოს, ბევრს გამოსავლად არჩევნები მიაჩნია... გამოიღებს კი შედეგს ახალი არჩევნები? განიმუხტება კი ვითარება?.. ანუ შეიძლება, გამოსავლად მივიჩნიოთ არჩევნები?**

- სადღეისოდ, მოცემულ კონკრეტულ მონაკვეთში, არჩევნები გამოსავალი არ არის, რადგან არ არსებობს სათანადო საშინაო და საგარეო ფაქტორები. დასავლეთი ჯერ არ გამორკვეულა, ევროკავშირი ძველი ინერციით მიექანება, რუსეთი მრავალმნიშვნელოვნად დუმს და შიგადაშიგ ანტიოპოზიციური განცხადებები კეთდება. არადა, როგორც ერთი წლის წინანდელ ერთ-ერთ ინტერვიუში მივუთითე, სერიოზულ ბერკეტებს ფლობს როგორც ხელისუფლებაზე, ისე ოპოზიციაზე ზემოქმედებისთვის. ანტირუსული რიტორიკა არ გამორიცხავს რუსეთისთვის სასარგებლო საქმის კეთებას. სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორი ცესკოს მიმართ უნდობლობაა და ჯერჯერობით, ერთპარტიული პარლამენტის პირობებში, არ არსებობს მისი გადაკომპლექტების რეალური შესაძლებლობა, რაც მას სათანადო ნდობით აღჭურავდა, საარჩევნო ადმინისტრაციის გარეშე კი, მოგეხსენებათ, არჩევნებს ვერავინ ჩაგვიტარებს.

**- ამ გამწვავებული სიტუაციის დარეგულირების საშუალებად დიალოგი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, აქციების მონაწილეთა ჩართულობით რამდენად შესაძლებელია და უფრო მეტიც - აუცილებელი?**

- დიალოგი აუცილებელია, მისი დაწყება საშური საქმეა, თუმცა სიტუაციას თუ შევხედავთ ასეთი დიალოგისთვის არც ხელისუფლებაა მზად და არც ოპოზიცია. რა თქმა უნდა, აქციების მონაწილეთა ჩართულობა ასეთ დიალოგში აუცილებელია და ამ დიალოგს უფრო რეალურს ვერ გახდის ლამის პაციფისტური მოწოდებები ოპოზიციის გაერთიანებაზე, რომელიც, ფაქტობრივად, ერთაზრიანობის დამკვიდრებას ისახავს მიზნად. ოღონდ არ ჩანს, ეს ერთი აზრი საიდან და ვისგან უნდა მოდიოდეს - მელიასგან, გვარამიასგან, ხაზარაძისგან, ბოკუჩავასგან, გახარიასგან თუ კლინიკაში მყოფ პატიმარ სააკაშვილისგან. არადა, ამ ყველა სუბიექტმა გაუშვა მომენტი, როცა ცალკე და დამოუკიდებლად უნდა დაეწყო სერიოზული ოპოზიციური პოლიტიკური ძალის მშენებლობა. ამის შანსი უფრო ჰქონდათ გახარიას და ხაზარაძეს, მაგრამ მათ მიზნად დაისახეს შეუძლებელი - აბსოლუტურად განსხვავებული ხედვის, მენტალიტეტისა და პოლიტიკური ბიოგრაფიის მქონე ადამიანების ერთობა შეერთებული შტატებიდან და ევროკავშირიდან მომავალი პოლიტიკური გზავნილების საფუძველზე. ეს არარეალური იყო და ჩიხითაც დამთავრდა. ჩვენი პოლიტიკური ოპოზიციის მთავარი პრობლემა ის გახლავთ, რომ არ იცნობენ ჩვენივე ხალხის ეთნოფსიქოლოგიას, განწყობებს. ეს, ვთქვათ, პოტომაკის ნაპირებზე და ბრიუსელში რომ არ იციან, არ არის გასაკვირი, მაგრამ ამათი ახლომხედველობა, უბრალოდ, დამაზიანებელია და ქვეყნის ავტორიტარიზმისკენ სვლას უწყობს ხელს. ამის გათვალისწინებით და ამ ფონზე, დიალოგისთვის წინაპირობები არ არსებობს.

**- ხშირად ისმის მოწოდება, რომ ქართულმა საზოგადოებამ ევროპული არჩევანი უნდა დაიცვას და გადაარჩინოს, მაგრამ საკითხავია - როგორ, რა გზით?**

- ევროპული არჩევანი სრულიად საქართველოს არჩევანია და იგი დღესაც უცვლელია. ახლა ამ არჩევანის შელამაზება, ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ სვლით ჩანაცვლება შეიძლება, მაგრამ არაეფექტური და ბუნდოვანია. ეჭვი არ მეპარება, რომ ბიძინა ივანიშვილსაც და „ქართული ოცნების“ ლიდერებსაც ევროკავშირში ქვეყნის გაწევრიანება სურთ, თუმცა ძნელია, ენდო პარტნიორებს და შუამავლებს საქართველოში მათი საელჩოების სახით, როდესაც „ოცნების“ დამფუძნებელს საკუთარ აქტივებზე წვდომას უზღუდავენ და ასე ხდება, როგორც თავად ამბობს, 2008 წლიდან. აქაც ჩვენი ეთნოფსიქოლოგიის უცოდინარობა და ჩვენდამი უნდობლობა გამოსჭვივის. დიახ, ამ ჩვენს არჩევანს დაცვა უნდა და აქ პოლიტიკურმა პარტიებმა, ჩვენს მედიასთან ერთად, უფრო სერიოზული როლი უნდა შეასრულონ. ევროპის მექანიკურად უარმყოფელი ადამიანების რაოდენობა ამ ქვეყანაში უაღრესად მცირეა.

**- როგორ ფიქრობთ, ქართული სამოქალაქო საზოგადოება ამჟამად განვითარების რა ფაზაშია და რას მიიჩნევთ უმთავრესად მისი ჩამოყალიბებისთვის?**

- სამოქალაქო საზოგადოება აუცილებელია ჩვენი ქვეყნის საიმედო და კეთილდღეობით გამორჩეული მომავლის უზრუნველსაყოფად, თუმცა ქართული სამოქალაქო სექტორი ვერ იქცა საზოგადოების წინსვლის ქმედით ინსტრუმენტად. მრავალი ათასი ორგანიზაციიდან, რეალურად, სხვადასხვა დროს მხოლოდ რამდენიმეს ჰქონდა სოლიდური დაფინანსება და რეალურად გაკეთებული საქმეების პორტფელი. რა თქმა უნდა, ამ სექტორის ძირითადი დამფინანსებელი ამერიკული და ევროპული ფონდები იყვნენ და მათი მიზანი ცხადი და ნათელი იყო - მხარი დაეჭირათ პოსტსაბჭოთა სივრცეში ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და ეკონომიკის განვითარებისთვის, რა თქმა უნდა, დასავლური მოდელების მიხედვით. ეს ჩვენს ეროვნულ ინტერესებსაც ეთანადებოდა და ქართული საზოგადოებაც კეთილგანწყობილი იყო ამ სექტორის მიმართ, თუმცა ამ საქმიანობის რეალური შედეგები ხელშესახები არ აღმოჩნდა სადღეისოდ, რადგან ბევრი მილიონი, ფაქტობრივად, უყაირათოდ და არამიზნობრივად დაიხარჯა, რომ არაფერი ვთქვათ მასშტაბური კორუფციის დასაშვებობაზე, რასაც თეთრი სახლის დღევანდელი პატრონი ეჭვობს.

**- ხელისუფლებას არ შერჩება აქციის მონაწილეთა და ჟურნალისტების დევნა-შევიწროება - აცხადებენ ოპოზიციის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები...**

- ვიდრე ხელისუფლების და სამართალდამცავების გადაცდომებზე ვისაუბრებდეთ (და ასეთები იყო), მანამდე უნდა ვთქვათ, რომ პროტესტის პირველ ხანებში აქციის მონაწილეთა ქმედებები მშვიდობიანი ხასიათისგან შორს იყო. თუ პოლიტიკური პროცესი მის მხარდამჭერებსა და ორგანიზატორებს ჩაფიქრებული ჰქონდათ როგორც რევოლუციური სცენარის ნაწილი, მაშინ მომიტინგეთა რადიკალიზმი, რომელიც, რეალურად, ექსტრემიზმის მიჯნასთან შეჩერდა, გასაგებია და ამას უნდა მოჰყოლოდა ხელისუფლების შეცვლა, ან ახალი არჩევნების დანიშვნა. ასე არ მოხდა და, ამის გათვალისწინებით, ხელისუფლების პასუხი დემონსტრანტების აგრესიულ ქცევებზე უკვე სხვა კვალიფიკაციით ფასდება. რევოლუციას, მეგობრებო, თავისი კანონები აქვს, ხოლო მასობრივ, განგრძობად, მშვიდობიან პროტესტს - თავისი და ამ ქვეყანას აქვს ასეთი პროტესტის გამოცდილება როგორც საბჭოთა პერიოდში, ისე შევარდნაძისა და სააკაშვილის ხელისუფლებების წინააღმდეგ. არც პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკოსების დაბალი რეიტინგის გამო უკან გადაწევა და აქციის მონაწილეთა წინ წამოწევა, რომელთა შორის ახალგაზრდები და ხელოვანები სჭარბობენ, მგონია სწორი. უფრო მეტიც, მცდარი მგონია. ამაზე, თავის დროზე, ცნობილმა მეცნიერმა ორტეგა ი გასეტიმ მკაფიოდ თქვა: არ არსებობს დამოუკიდებელი ახალგაზრდული მოძრაობა, არ არსებობს დამოუკიდებელი პროტესტი. ადრე თუ გვიან ასეთი პროტესტი პოლიტიკოსების გავლენას დაექვემდებარება, თუნდაც ამ პროტესტის მიერ წამოწეული ადამიანების მეშვეობით. შესაბამისად, აუცილებელია ამ აქციების სწრაფი ტრანსფორმაცია და ახალი ტაქტიკის შემუშავება პოლიტიკურ პროცესებში საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობისთვის. არადა, ჩვენ სულ უფრო მეტად არაადეკვატურ ნაბიჯებს ვხედავთ ოპოზიციის მხრიდან. ჩემი, როგორც ერთი მოქალაქისა და მთელი რიგი სხვა ადამიანების მოწოდება - ოპოზიცია პარლამენტში შესულიყო და ეს ტრიბუნაც გამოეყენებინა ხელისუფლების წინააღმდეგ საზოგადოების დარაზმვისთვის, იგნორირებულ იქნა. აჰა, მანდატებიც გაუქმებულია და სიებიც ჩახსნილია... გახარიას გარდა. აქედან გამომდინარე, აქცენტი კეთდება „ქართული ოცნების“ და ბიძინა ივანიშვილის დისკრედიტაციაზე, შემდგომ ძლიერ სანქციებზე და ასე შემდეგ... ეს წაბიძგება არასტაბილურობისკენ ქვეყნის სუვერენიტეტს აზიანებს და ჩემი აზრით, რეგიონში რუსეთის ინტერესების წისქვილზე ასხამს წყალს. ნახეთ, ახლახან ტრამპმა რა თქვა? სირიაში ვითარებას თურქეთის და ერდოღანის წყალობით გავაკონტროლებთ. ემანდ, რომელიმე ზედამხედველი ჩვენც არ დაგვინიშნოს...

**- საგარეო საკითხსაც შევეხოთ: ჩვენი ქვეყნის რეალობაზე როგორ აისახება „ტრამპის ეფექტი“ ამჟამად და რაა მოსალოდნელი მომავალში?**

- ჩვენი ოპოზიციური ანალიტიკური წრეები, ვფიქრობ, არასწორად აფასებენ ტრამპის ნაბიჯებს. ის არაეფექტურს და დრომოჭმულს იმიტომ კი არ ანგრევს, რომ ამერიკა დაასუსტოს და პუტინის საამებელი გააკეთოს, მას უნდა, რომ ამერიკა ისევ დიადი იყოს. ტრამპიზმი იგივე გლობალიზმია, ოღონდ

იხ. მე-5 გვ.

> *„სადღეისოდ, მოცემულ კონკრეტულ მონაკვეთში, არჩევნები გამოსავალი არ არის, რადგან არ არსებობს სათანადო საშინაო და საგარეო ფაქტორები. დასავლეთი ჯერ არ გამორკვეულა, ევროკავშირი ძველი ინერციით მიექანება, რუსეთი მრავალმნიშვნელოვნად დუმს და შიგადაშიგ ანტიოპოზიციური განცხადებები კეთდება. არადა, როგორც ერთი წლის წინანდელ ერთ-ერთ ინტერვიუში მივუთითე, სერიოზულ ბერკეტებს ფლობს როგორც ხელისუფლებაზე, ისე ოპოზიციაზე ზემოქმედებისთვის*

# რამაზ ჯინჭარაძე: ვცხოვრობთ ქვეყანაში, რომელიც სწრაფი ტემპით ვითარდება და არ ვაპირებთ ამ კურსიდან გადახვევას

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

*აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **რამაზ ჯინჭარაძემ** გაზეთ „აჭარასთან" „ქართული ოცნების" მიერ განხორციელებულ წარმატებულ პროექტებზე, საქართველოში არსებულ პოლიტიკურ დაძაბულობაზე, ოპოზიციის დეპუტატების საკანონმდებლო ორგანოში შესვლის პერსპექტივებსა და მთავრობის ძირითად პრიორიტეტებზე ისაუბრა. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.*

**- ახალი მოწვევის უმაღლეს საბჭოში, ამ ეტაპზე, მხოლოდ პარტია „ქართული ოცნებაა" წარმოდგენილი. როგორ ფიქრობთ, დარჩება საკანონმდებლო ორგანო ერთპარტიული, თუ მას შეუერთდებიან „გახარია საქართველოსთვის" წარმომადგენლები?**

- 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში, ამომრჩეველთა უმრავლესობამ ნდობა გამოუცხადა „ქართული ოცნების" გუნდს, რომელმაც შეძლო მშვიდობის შენარჩუნება, ქვეყნის მდგრადი, სტაბილური ეკონომიკური განვითარება და დაიცვა თაობების მიერ ბრძოლით მოპოვებული სუვერენიტეტი. თუ გადავხედავთ არჩევნების შედეგებს, 21-წევრიან აჭარის უმაღლეს საბჭოში უმრავლესობა, ანუ 13 მანდატი, „ქართული ოცნების" გუნდმა მიიღო, რისთვისაც კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდით ჩვენს ამომრჩეველს, თითოეულ მოქალაქეს. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მათი ნდობა გავამართლოთ. 4 მანდატი ჰქონდა „ერთიანობა - ნაციონალურ მოძრაობას", თითო მანდატი ერგოთ - „კოალიცია ცვლილებებისთვის, გვარამია, მელია, გირჩი, დროასა" და „ძლიერი საქართველო - ლელოს", 2 მანდატი მიიღო „გახარია საქართველოსთვის" პოლიტიკურმა პარტიამ, ანუ არჩევნების შედეგებით, 5-მა პოლიტიკურმა სუბიექტმა გადალახა საარჩევნო ბარიერი და მოიპოვა მიღებული ხმების შესაბამისი მანდატების რაოდენობა, თუმცა ოპოზიციური პარტიების ნაწილმა უარი თქვა უმაღლეს საბჭოში შემოსვლაზე. ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც მანდატების დატოვების თაობაზე არ მოუმართავს უმაღლესი საბჭოსთვის, გახლავთ „გახარია საქართველოსთვის". სამი პოლიტიკური სუბიექტის განცხადება შემოსულია და ამასთან დაკავშირებით, სათანადო პროცედურები კანონმდებლობის შესაბამისად დაიწყება.

**- რა მიგაჩნიათ დღეს არსებული დაძაბულობის ძირითად მიზეზად?**

- ოპოზიცია ვიწროპარტიული, სუბიექტური მიზნებით ხელმძღვანელობს და ყველაფერი, რაც დღეს ხდება, სწორედ აქედან მოდის. სამწუხაროდ, ვითარება ყოველთვის გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების მიერ იმართება, რის გამოც ზარალდებიან ისევ ჩვენივე მოქალაქეები და სახელმწიფო.

**- რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ ოპოზიციის დეპუტატების დაბრუნება საკანონმდებლო ორგანოში?**



- ვფიქრობ, ეს მათი გადასაწყვეტია. ამომრჩეველმა, როგორც უკვე აღვნიშნე, არჩევანი გააკეთა მისთვის სასურველი პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ. „ქართულ ოცნებას" მილიონ-ორასიათასამდე ამომრჩეველმა გამოუცხადა ნდობა, რისთვისაც კიდევ ერთხელ გამოვხატავთ მადლიერებას არა მხოლოდ სიტყვიერად, არამედ რეალური საქმეებით.

> ***„იმისათვის, რომ არსებული ავარიული სახლების ადგილზე აშენებულიყო ახალი, თანამედროვე ტიპის საცხოვრებელი სახლები, საკრებულომ დაამტკიცა ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესი, რამაც შესაძლებელი გახადა ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლება ახალი, თანამედროვე ტიპის საცხოვრებლებით***

**- ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობდით ბათუმის საკრებულოში. რას გაიხსენებთ ყველაზე მნიშვნელოვანს, რამაც განსაკუთრებული კვალი დატოვა ჩვენს ქალაქზე და სიკეთე მოუტანა ბათუმელებს?**

- ერთ-ერთი ურთულესი და პრობლემური საკითხი ბათუმის საკრებულოში, ჩემი საქმიანობის პერიოდში, ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ავარიული საცხოვრებელი სახლები გახლდათ. ამასთან, ბევრი მათგანი გამაგრებას არ ექვემდებარებოდა და საფრთხეს უქმნიდა ადამიანთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. იმ პერიოდში 118 საცხოვრებელ სახლზე, რომლებშიც 3000-მდე ოჯახი ცხოვრობდა, არსებობდა საექსპერტო დასკვნა საფრთხის შემცველობის თაობაზე და ეს არ იყო საბოლოო მონაცემები. ამ ვითარებიდან გამომდინარე, ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით, შემუშავდა ავარიული სახლების ჩანაცვლება/რეაბილიტაციის 4-წლიანი პროგრამა. იმისათვის, რომ არსებული ავარიული სახლების ადგილზე აშენებულიყო ახალი, თანამედროვე ტიპის საცხოვრებელი სახლები, საკრებულომ დაამტკიცა ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესი, რამაც შესაძლებელი გახადა ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლება ახალი, თანამედროვე ტიპის საცხოვრებლებით. იყო სხვა გადაწყვეტილებებიც, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი და ჩვენი თანაქალაქელების კეთილდღეობაზე მორგებული სწორედ ეს პროგრამაა, რომლითაც უკვე არაერთი პროექტი განხორციელდა. აქვე, გვერდს ვერ ავუვლით ბათუმში „ოცნების ქალაქის" მშენებლობას, რომელიც სწორედ ჩვენი ხელისუფლების მოქალაქეებზე ზრუნვის დამადასტურებელი პროექტია. აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან, ბატონ თორნიკე რიჟვაძესთან ერთად, აქტიურად ვმუშაობდით ამ საკითხზე და, ასევე, არაერთხელ ვიმყოფებოდით დასახლებაში, რომელიც სწორედ წინა ხელისუფლების არასწორი სოციალური პოლიტიკის შედეგად გაჩნდა. ეს გახლდათ დასახლება, სადაც ადამიანები, მათ შორის, პატარა ბავშვები, სკოლის მოსწავლეები, ახალგაზრდები თუ მოხუცები უმძიმეს პირობებში ცხოვრობდნენ. „ოცნების ქალაქის" მშენებლობა, უშუალოდ აჭარის მთავრობის მეთაურის - ბატონ თორნიკე რიჟვაძის მიერ ინიცირებული ჩვენი ხელისუფლების უპრეცედენტო სოციალური პროექტია, რომლის პირველი ეტაპი წარმატებით დასრულდა - აშენდა სამი 12-სართულიანი კორპუსი, რომელშიც 582 ოჯახი დაბინავდა. ამასთან, 800-მდე ბავშვი ახლა უკვე ჯანსაღ და კომფორტულ გარემოში იზრდება. „ოცნების ქალაქის" საკმაოდ წარმატებული პროექტი კვლავ გრძელდება - მშენებლობის მეორე ეტაპის დაწყებასა და საძირკვლის ჩაყრასთან დაკავშირებით, სიმბოლური კაფსულის ჩაგდების ახლახან გამართულ ღონისძიებაში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის თავმჯდომარეები - დავით გაბაიძე, თორნიკე რიჟვაძე, ქვეყნისა და რეგიონის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მინდა გითხრათ, რომ პროექტის მეორე ეტაპი კიდევ უფრო მასშტაბური და ამბიციურია - 19 407 კვადრატულ მეტრ ფართობზე აშენდება 9 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომლებშიც 1077 ოჯახი მიიღებს ბინებს. გარდა ამისა, სრულფასოვანი საცხოვრებელი გარემოს შესაქმნელად იგეგმება სკოლის, საბავშვო ბაღის, რეკრეაციული ზონების და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა. „ოცნების ქალაქის" პროექტის მეორე ეტაპი 2028 წელს დასრულდება. გვერდს ვერ ავუვლით ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მუდმივად მზარდ პროგრამებს, რომლებიც ბათუმსა და ჩვენს რეგიონში ხორციელდება. გარდა იმისა, რომ იზრდება ამ პროგრამებისა და ქვეპროგრამების ჩამონათვალი და დაფინანსება, იზრდება ბენეფიციართა რაოდენობაც. ცალკე თემაა განათლების, კულტურისა და სპორტის მიმართულებით განხორციელებული მიმდინარე და დაგეგმილი პროგრამები. ამ დღეებში, ბათუმის საერთაშორისო სტანდარტების ყინულის სასახლე გაიხსნა, რომელიც უკვე მასპინძლობს ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიადას. სასიხარულოა და საამაყოა, რომ ბათუმმა, ევროპის სპორტის ქალაქის სტატუსთან ერთად, ევროპის მზარდი ტურისტული ქალაქის სტატუსიც მიიღო და ეს ყველაფერი ჩვენი სახელისუფლებო გუნდის დიდი შრომისა და ერთიანობის შედეგია. არ უნდა დაგვავიწყდეს ქალაქში განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები, რეკრეაციული ზონების განახლება-რეაბილიტაცია, ახალი სკვერების მშენებლობა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ყველაფერი ერთად, ისევ და ისევ, ჩვენი მოსახლეობის, ჩვენი თანაქალაქელების კეთილდღეობაზე ზრუნვის დადასტურებაა.

**- რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ?**

- ზემოთაც აღვნიშნე, ჩვენი მთავარი მიზანი მშვიდობიანი, ეკონომიკურად მზარდი და ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობა, მისი დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ძირითადი ადამიანური ფასეულობებისა და ღირებულებების დაცვა-შენარჩუნებაა. ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, რომელიც სწრაფი ტემპით ვითარდება და არ ვაპირებთ ამ კურსიდან გადახვევას. მთელი ცხოვრება ვემსახურებოდი სოციალური და ჯანდაცვის სფეროებს, რაც „ქართული ოცნების" პრიორიტეტი და ჩემთვის უმთავრესი ღირებულებებია.

# მმართველი გუნდი ახალი კანონების მისაღებად ემზადება, USAID-ის ბედი კი გაურკვეველია

მე-2 გვერდიდან

გადავინაცვლოთ აშშ-ში და ვისაუბროთ USAID-ზე, რომელსაც საქართველოში ბევრი პროექტი განუხორციელებია.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი USAID-ზე ალაპარაკდა და აღნიშნა, რომ ამ ორგანიზაციას „გიჟები მართავენ". მან აღნიშნა, რომ USAID-ი კორუფციასა და თანხების ფლანგვაშია ბრალდებული. დონალდ ტრამპი დაჟერით დაემუქრა ყველას, ვინც ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოდან თანხებს თაღლითურად აძლევდა მედიას. ამის პარალელურად, სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, სადაც საუბარია იმაზე, რომ სააგენტო საერთაშორისო მასშტაბით და, მათ შორის, საქართველოშიც რევოლუციებს უჭერდა მხარს. ინფორმაციაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ USAID-ის დახმარებით შეიქმნა სამოქალაქო საზოგადოება, რომელმაც ვარდების რევოლუციას დაუჭირა მხარი.

აღნიშნულს პოლიტიკური შეფასებები მოჰყვა საქართველოშიც. „ქართული ოცნების" ლიდერებისთვის, რაც აშშ-ში ხდება, საბოლოოდ ადასტურებს, რომ საქართველოში რევოლუციების ავანგარდში უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები არიან.

„არიან საქართველოში ყველაზე მდიდარი ენჯეოები, რომლებიც პირდაპირ გამოიყენებოდნენ რევოლუციის მოსაწყობად. დღემდე გრძელდება ეს პროცესი. ეს არის ერთგვარი გაგრძელება იმ პროცესებისა, რაც დაიწყო. კონკრეტულად USAID-ის დაფინანსებულმა ენჯეომ, ISFED-მა გააყალბა პარალელური დათვლის შედეგები 2020 წელს, რასაც მოჰყვა რევოლუციის პირველი მცდელობა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. ახლაც ხედავთ, როგორც ვითარდება პროცესები - რევოლუციის მცდელობის ავანგარდში დგანან სწორედ უცხოეთიდან დაფინანსებული ენჯეოები, ესენი არიან აშშ-დან დაფინანსებული ენჯეოები, USAID-ი, NED-ი, რასაც ღიად აკრიტიკებს უკვე ახალი ამერიკული ადმინისტრაცია და ესენი არიან, ასევე, ევროკავშირთან დაკავშირებული ფონდების მიერ, იგივე EED-ს მიერ, დაფინანსებული ენჯეოები.

რაზეც ჩვენ ვსაუბრობდით 2023 წელს, გაზაფხულზე, შემდეგ 2024 წლის გაზაფხულზე, იმაზე დღეს უკვე ოფიციალურად საუბრობს ამერიკის ხელისუფლება. საუბარია იმაზე, რომ USAID-ის დაფინანსება რეალურ მიზანს არ ხმარდებოდა. ეს ყველაფერი ხმარდებოდა ამა თუ იმ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოზეა საუბარი, რევოლუციების მოწყობას და არეულობის შემოტანას, ქვეყნის არევას და ა.შ. მოხარული ვართ, რომ სამი თვით შეჩერდა USAID-ის დაფინანსება. ჩვენთვის მთავარია, ეს ასე დარჩეს. ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ USAID-მა აღარასდროს სცადოს ჩვენს ქვეყანაში ვითარების არევა. იმედი გვაქვს, რომ სამთვიანი შეჩერების მექანიზმი ბოლომდე ძალაში დარჩება", - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

შეგახსენებთ, რომ 2025 წლის იანვარში დონალდ ტრამპმა USAID-ის პროგრამები 90 დღით შეაჩერა აშშ-ის საგარეო პოლიტიკურ კურსთან მათი შესაბამისობის დადგენამდე.

ოპოზიცია კი მმართველ გუნდს ტყუილსა და სპეკულაციაში ადანაშაულებს.

„ქართული ოცნება" ატყუებს ხალხს, რადგან თუ რამე გრანტი ჰქონია საქართველოს, ეს ყველაფერი ეფუძნებოდა საქართველოს მხრიდან ხელმოწერილ შეთანხმებებს, სწორედ, დასავლეთის სახელმწიფოებთან. მაშინ, როდესაც არანაირი გამოძიება არ დადებულა USAID-ის საქმიანობასთან დაკავშირებით და შალვა პაპუაშვილი ცდილობს, პროპაგანდისტული ხაზით თქვას, რომ USAID-ი საქართველოში გადატრიალებას აწყობდა ისევე, როგორც აშშ და ამ მაგალითს ავრცელებს ჩვენს სხვა დასავლელ პარტნიორებზე, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს აქვს თხოვნით მიმართული სტრატეგიულ პარტნიორობაზე ხელშეკრულებებით, რომ დემოკრატიის დახმარება მოხდეს მათი მხრიდან, ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს იმას, რომ ის, რეალურად, აძლიერებს მტრის ინტერესებს საქართველოში", - აცხადებს პარტია „გახარია საქართველოსთვის" წევრი თეონა აქუბარდია.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ ახალ კანონებს და USAID-ის საქმიანობის აშშ-ის საგარეო პოლიტიკურ კურსთან შესაბამისობის შესახებ დასკვნას.

# „ყველა ძალისხმევა უნდა მივმართოთ ზესახელმწიფოსთან ურთიერთობის ნორმალიზებისკენ“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*დღევანდელ საქართველოში მიმდინარე პროცესები, არასტაბილური პოლიტიკური გარემო არა მხოლოდ მოსახლეობის კეთილდღეობას ვნებს, არამედ ქვეყნის მომავალსაც, მით უფრო საერთაშორისო მოვლენების ფონზე, როცა თვალნათლივ ვხედავთ, მსოფლიო ახალი წესრიგის მოწყობის აქტუალურ ფაზაშია*

*„აჭარასთან“ ამ საკითხებზე საჯარო მმართველობის დოქტორი, ბსუ-ის ასისტენტ-პროფესორი* ***გიგა ფარტენაძე*** *საუბრობს.*

**- ექსპერტები აცხადებენ, რომ ქვეყანა სახიფათო ფაზაში შევიდა.**

- მივესალმები ჩვენს მკითხველს და მადლობას გიხდით დაინტერესებისთვის. რაც შეეხება თქვენს კითხვას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს უკიდურესი პოლარიზაციის ნიშნებით. ასეთ ვითარებაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობა, რათა შენარჩუნდეს სახელმწიფო ინსტიტუტების მდგრადობა და კრიზისმა დემოკრატიულ განვითარებას საფრთხე არ შეუქმნას. სამწუხაროდ, ასეთი კრიზისის ნიშნებს მკაფიოდ ვხედავთ, რასაც კიდევ უფრო აძლიერებს უკვე მიღებული და ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებები.



> *ეს მიუთითებს პოლიტიკური კულტურის დაბალ დონეზე, სადაც დებატები და კომპრომისი ჩანაცვლებულია დაპირისპირებით. ასეთ პირობებში საზოგადოება და სახელმწიფო რჩება დაზარალებულ მხარეს, რადგან რეალური პრობლემების მოგვარება გადადის უკანა პლანზე. კომპრომისი პოლიტიკური პარტიების ინტერესებიდან კი არ უნდა გამომდინარეობდეს, არამედ ქვეყნის ინტერესები უნდა გვამოძრავებდეს*

**- ვხედავთ, რომ მმართველი პარტია და ოპოზიცია კომპრომისს გამორიცხავენ, თანაც ერთმანეთს მტრად მოიხსენიებენ. ეს რისი მანიშნებელია?**

- ეს მიუთითებს პოლიტიკური კულტურის დაბალ დონეზე, სადაც დებატები და კომპრომისი ჩანაცვლებულია დაპირისპირებით. ასეთ პირობებში საზოგადოება და სახელმწიფო რჩება დაზარალებულ მხარეს, რადგან რეალური პრობლემების მოგვარება გადადის უკანა პლანზე. კომპრომისი პოლიტიკური პარტიების ინტერესებიდან კი არ უნდა გამომდინარეობდეს, არამედ ქვეყნის ინტერესები უნდა გვამოძრავებდეს.

**- მმართველმა პარტიამ ოპოზიციის განცხადებები დააკმაყოფილა და სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყვიტა...**

- როგორც ვიცით, ეს პროცესი 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგების არაღიარების გაგრძელების ნაწილია. გადაწყვეტილება სამართლებრივ ჩარჩოებში ჯდება, თუმცა პოლიტიკური პროცესის გამწვავებას უწყობს ხელს. თუ ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიულ საპარლამენტო მმართველობას ვაშენებთ, ასეთი სისტემისთვის აუცილებელია ინკლუზიური პოლიტიკური დისკუსია და არა „კარის გაჯახუნების“ ან „მიხურვის“ პოლიტიკა.

**- მმართველ პარტიას გამოეყო რამდენიმე დეპუტატი და, ოპოზიციური სპექტრის თქმით, „ოპოზიციის მანტიით“ შეიმოსა...**

- ეს გადაწყვეტილება უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, თუ დროის რა მონაკვეთში იქნა მიღებული. მას შემდეგ, რაც, ფაქტობრივად, ოპოზიციური ხმა აღარ დარჩა პარლამენტში, ამ ნაბიჯის გადადგმა უფრო ტაქტიკურ ცვლილებად შეგვიძლია შევაფასოთ. დემოკრატიულ სახელმწიფოში პარტიების შიგნით არსებული დაპირისპირება და გადანაცვლება ჩვეულებრივი მოვლენაა, თუმცა თუ ასეთ გადაწყვეტილებას მხოლოდ პოლიტიკური მიზნებისთვის იღებენ და არა პრინციპების გამო, ამან შესაძლოა, ნდობის კრიზისი კიდევ უფრო გააღრმაოს.

**- სხვათა შორის, მმართველმა გუნდმა წინა ხელისუფლების დანაშაულის გამოძიება დააანონსა.**

- სამართლებრივი პროცესები არ უნდა იქცეს პოლიტიკური ანგარიშსწორების ინსტრუმენტად. აუცილებელია, რომ გამოძიებები იყოს გამჭვირვალე, ობიექტური და ემყარებოდეს კანონის უზენაესობას.

**- ორ თვეზე მეტია, აქციები იმართება, მაგრამ... მუხტი ხომ არ მინელდა?**

- აქციების, მანიფესტაციების და პერმანენტული შეკრებების ხანგრძლივობა მიუთითებს საზოგადოებაში პროტესტისთვის მზაობაზე, თუმცა, დროის გასვლასთან ერთად, პროტესტს შედეგისთვის სჭირდება სტრატეგიული განახლება.

**- ბევრი ოპოზიციას აკრიტიკებს იმის გამოც, რომ ერთი ფრონტით არ უტევს ხელისუფლებას. ამ მხრივ, ექსპერტები აცხადებენ, რომ ბარიერგადალახულმა პარტიებმა სხვა პარტიებსაც უნდა შესთავაზონ ერთ პლატფორმაში გაერთიანება...**

- ოპოზიციის გაერთიანება ამცირებს მმართველი გუნდის უპირატესობას, თუმცა განსხვავებული ინტერესების და ხედვის შეჯერება რთული პროცესია. საჭიროა საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული სტრატეგია და არა მექანიკური გაერთიანება.

**- როგორ შეაფასებთ სახალხო დამცველის საქმიანობას?**

- სახალხო დამცველის ინსტიტუტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის უფლებების დაცვის პროცესში. მის თითოეულ განცხადებას და ანგარიშს დასავლეთისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ეს ამ ინსტიტუტის მიმართ მაღალი ნდობის შედეგია სწორედ ამ ქვეყნებში, ამიტომ მისი ეფექტიანობა განისაზღვრება რეალურ შედეგებზე ორიენტირებული ნაბიჯებით.

**- მზია ამაღლებელის შესახებ მინდა გკითხოთ: ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ ხელისუფლება ვერ აცნობიერებს, თუ რა ზიანის მომტანია მზია ამაღლობელის ქეისი. რას ფიქრობთ?**

- ვიცით, რომ ამ საკითხს საზოგადოებაში და საერთაშორისო პარტნიორებთან ნეგატიური რეზონანსი აქვს. ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს ეს ფაქტორი და მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს არ დააზარალებს.

**- თქვენ საერთაშორისო პოლიტიკა ახსენეთ. ამ მხრივ, რა ეტაპზეა დღეს ქართულ-ამერიკული ურთიერთობები?**

- აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის პირობებში ჯერ რაიმეს თქმა ძალიან გაგვიჭირდება, თუმცა ცალსახაა, რომ ბოლო პერიოდში არსებობს ოფიციალურ საქართველოსა და აშშ-ს შორის გამოწვევები, რომლებიც მეტ სიფრთხილესა და დიპლომატიურ ძალისხმევას საჭიროებს. უნდა გვესმოდეს, რომ აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობა საქართველოსთვის, გეოპოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, ძალიან დიდი ფუფუნებაა და ყველა ძალისხმევა უნდა მივმართოთ ზესახელმწიფოსთან ურთიერთობის ნორმალიზებაზე.

**- რა უნდა გააკეთოს დასავლეთმა, რომ ომი უკრაინის სასარგებლოდ დასრულდეს?**

- მან უნდა განაგრძოს უკრაინის სამხედრო და ეკონომიკური მხარდაჭერა, გააძლიეროს სანქციები და დიპლომატიური ზეწოლა, რათა აგრესორმა უკან დაიხიოს.

**- დაბოლოს, ჩამოყალიბდება თუ არა ახალი მსოფლიო წესრიგი წელს?**

- მსოფლიო წესრიგის ცვლილება პროცესია და არ არის ერთწლიან პერიოდზე დამოკიდებული. გეოპოლიტიკური ბალანსი აშშ-ის, ჩინეთის, რუსეთისა და ევროპული ქვეყნების მოქმედებებზე იქნება დამოკიდებული, რაც გარკვეულ ახალ რეალობას შექმნის.

## სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა გაიმართა

*ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირად ან ოჯახად რეგისტრაციისათვის დადგენილი კრიტერიუმების შემსწავლელი შერეული სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ბათუმის ვიცე-მერი ნუკრი დეკანაძე ხელმძღვანელობს*

ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ბათუმის მერიის, საკრებულოს, აჭარის უმაღლესი საბჭოს, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები.

შეხვედრაზე განიხილეს კომისიის წევრებისა და სხვა დაინტერესებული პირების მიერ უსახლკაროდ რეგისტრაციის წესით დადგენილი კრიტერიუმების გამარტივებასა და შეცვლასთან დაკავშირებით წარმოდგენილი მოსაზრებები და კრიტერიუმები.

„წარმოდგენილ წინადადებებს კომისია განიხილავს და შეაფასებს. საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდება შესაბამისი ცვლილება, მომზადდება დასკვნები და რეკომენდაციები, რაც უზრუნველყოფს საცხოვრისის საჭიროების მქონე უფრო მეტი უსახლკარო პირის ან ოჯახის პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობას.

სამუშაო კომისიის ფორმატში, მიღწეული იქნა შეთანხმება ცალკეული კრიტერიუმების გამარტივებასთან დაკავშირებით. კომისია ასევე, შეთანხმდა მომდევნო სხდომის ერთი თვის განმავლობაში გამართვის თაობაზე. კრიტერიუმების შეცვლის შემდგომ გაგრძელდება უსახლკარო პირად ან ოჯახად რეგისტრაციის მიზნით განცხადებების მიღება და საბოლოოდ მოხდება ყველა მსგავსი პირისა თუ ოჯახის საკითხის შესწავლა. განმცხადებლები, რომლებიც დააკმაყოფილებენ შეცვლილ კრიტერიუმებს და დარეგისტრირდებიან უსახლკაროთა ბაზაში, ბათუმის მერიის მიერ, პრიორიტეტების მიხედვით, უზრუნველყოფილნი იქნებიან საცხოვრისით“, - ნათქვამია მერიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# „ამ კონფიგურაციაში არის საძიებელი დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს მომავალი“

მე-3 გვერდიდან

არა ამერიკის მთელ მსოფლიოში ჰეგემონობაზე დაფუძნებული, არამედ მიზიდულობის ცენტრებს შორის გავლენებისათვის ბრძოლაზე, მედიატორობისა და მოკარნახეობის მეშვეობით, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გაკონტროლებით. ტრამპი რევოლუციონერია და, შესაბამისად, აშშ-ში მოვლენათა განვითარება არაპროგნოზირებადი ხდება. შენიშნავდით სახელმწიფო მდივან რუბიოს განცხადებას, რომელიც იოჰანესბურგში G20-ის შეხვედრაზე არ მიემგზავრება, რადგან სამხრეთ აფრიკა „ცუდ საქმეებშია“ შემჩნეული... საქართველოზე ეს ყველაფერი, უდავოდ, აისახება და - როგორ, ეს პირდაპირაა დამოკიდებული ხელისუფლებაზე, ოპოზიციასა და თითოეულ ჩვენგანზე, რამდენად აქტიურები ვიქნებით ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრისას და ეს არაა ლამაზი ფრაზა.

**- ომის რა ფაზაა ახლა უკრაინაში და ამ მხრივ ტრამპის გეგმაზე რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით რა შეიძლება ითქვას?**

- ტრამპს ძალიან უნდა, უკრაინაში ომი დაამთავროს, მაგრამ ორივე მხრიდან, რუსეთი იქნება თუ უკრაინა, იმდენი წითელი ხაზია, ამის გაკეთება შეუძლებელი ჩანს. უბრალოდ, ჩამოვთვალოთ წითელი ხაზების რამდენიმე ასპექტი - ყირიმი და მისი ბედი, ყირიმამდე მისასვლელი სახმელეთო მაგისტრალის კონტროლი, მიწისა და წიაღისეულის, ძვირფასი და იშვიათი ლითონების საბადოების კონტროლი, დონეცკისა და ლუგანსკის „სახალხო რესპუბლიკების“ მომავალი (მათ ტერიტორიაზეა, სწორედ, დიდწილად, მნიშვნელოვანი რესურსები) და ძალიან საგულისხმო - ნატოში უკრაინის გაწევრიანების დაუშვებლობა და ასე შემდეგ...

**- დაბოლოს, საქართველო, როგორც დერეფანი, ანუ მისი მთავარი გეოპოლიტიკური დანიშნულება ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესში როგორ ყალიბდება? რა გამოწვევების წინაშეა ჩვენი ქვეყანა?**

- სამი ათეული საუკუნეა, საქართველო გამოწვევების წინაშეა, ზოგჯერ გვქონია გაცილებით ფატალურიც, ვიდრე დღევანდელია. დერეფანი ჩვენი ისტორიული ბენეფიტია, მაგრამ დიდი საფრთხეც - მისი გაკონტროლება დღესაც ბევრს სურს. მე ხშირად მიყვარს, ამ და ამდაგვარ სიტუაციებთან მიმართებაში, ბისმარკის მოშველიება - „ყველაზე კარგი პოლიტიკა დიპლომატიაში მერყეობის პოლიტიკაა“. მართლაც, ასეა და ხშირად, მერყეობა უპრინციპობას არ ნიშნავს. „ნაცარქექია“ გავიხსენოთ - როცა დევები ძიძგილაობენ, მოხერხებულად უნდა გავიდეთ-გამოვიდეთ, რასაც, კაცმა რომ თქვას, ოცდაათი საუკუნეა, ვახერხებთ. რაც შეეხება ახალ მსოფლიო წესრიგს და მისი ფორმირების პროცესში ჩვენს ბედს, იგი ტრამპის ნაბიჯების ეფექტიანობაზე იქნება დამოკიდებული, მასთან მიმართებაში ევროკავშირის ბედზე, „ჩინური სასწაულის“ პერსპექტივაზე, გამოღვიძებული ინდოეთის მომავალ პრეტენზიებსა და რუსეთთან ჩვენი ურთიერთობის მოგვარებაზე მის დაშლამდე, როგორც ამას ჩვენთან ბევრი მესიასავით ელის და რასაც პირადად მე, ხილული ხუთი ათეული წლის განმავლობაში, რეალურად არ მივიჩნევ. აქვე, თურქეთთან ჩვენი ურთიერთობების შინაარსზე, „დიდი თურანის“ პერსპექტივაზე - არ დავივიწყოთ, სადღეისოდ დასავლეთისგან შერისხული, „მთვლემარე ლომი“ - ირანიც. ამ კონფიგურაციაში არის საძიებელი დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს მომავალი. უნდა გვახსოვდეს, რომ მკვეთრი მოძრაობები, მათ შორის, საგარეო-პოლიტიკური ვექტორის წამდაუწუმ ცვლა ჩვენთვის სახიფათოა.

# ვართ დამოუკიდებელი ქვეყანა თუ...

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*საქართველოს სახელმწიფოებრიობის 27-საუკუნოვან ისტორიაში დაცემისა და ამაღლების ხანა მრავალჯერ ყოფილა... კატაკლიზმებით აღსავსე მე-20 საუკუნის დასაწყისში ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, თუმცა 4 წელსაც ვერ შეინარჩუნა და მხოლოდ 90-იანი წლების დასაწყისში აღიდგინა. შუა ხნის ასაკის ქართველებს კარგად გვახსოვს ის ბედნიერი დღეები, გაერო და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები, ჩვენს დამოუკიდებლობას ერთმანეთის მიყოლებით რომ აღიარებდნენ. მალე სხვა ქვეყნებში ჩვენი საელჩოები გაიხსნა და საქართველოს დედაქალაქშიც დაიდეს ბინა უცხოეთის დესპანებმა. თითოეული ქართველისა და ამ ქვეყანაში მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენლისთვის ეს პროცესი სიამაყის მომნიჭებელი იყო და ასეთად დარჩება*

საგაზეთო სტატიაში არ შევუდგებით სიტყვა ელჩის განმარტებას და არც იმის მტკიცებას, თუ რა როლი და მნიშვნელობა აქვთ ჩვენს ქვეყანაში დიპლომატიური მისიით მოვლინებულ პიროვნებებს, მათზე ის რესპონდენტები ისაუბრებენ, რომლებიც შუახევში ჩავწერეთ.

**რევაზ ბერიძე, სოფელ წაბლანის მკვიდრი:**

- პროფესიით აღრიცხვის დარგის სპეციალისტი, მოსწავლეობიდან მოყოლებული, საქართველოს წარსულითა და დღევანდელობით ვარ დაინტერესებული. საქართველოს



ისტორიაში ის 4 საუკუნე დაკარგულად მიმაჩნია, როდესაც ბავშვებს იტაცებდნენ და უცხოეთის ბაზრებზე ჰყიდდნენ. სტატისტიკას თუ ვერწმუნებით, 10 მილიონამდე ბავშვია გაყიდული. სული მოვითქვით, დამოუკიდებელ ქვეყანას ვაშენებთ. ჩვენ არ ვდავობთ, რომ ქვეყანაში ოპოზიცია არ იყოს და აკრედიტებული უცხოელი დიპლომატები მათ შეხედულებებს არ იზიარებდნენ, არც იმის პრეტენზია გვაქვს, რომ ელჩებმა მარტო მმართველ გუნდს უსმინონ. ელჩმა ყველაფერი აფთიაქის სასწორით უნდა აწონოს, რასაც ზოგიერთი ქვეყნის დესპანის ქმედებაში ვერ ვხედავთ. ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი რა „საქმეებსაც" სჩადიოდა, უკვე იკვეთება, რაც ამჟამინდელმა აღარ უნდა გაიმეოროს.

**ცირა ქათამაძე, სოფელ ხაბელაშვილების მკვიდრი:**

- დიდი ოჯახის წევრს, შვილების დედას ქვეყნის აღმასვლა მახარებს. გული სიამაყით



ამევსო, როცა საქართველოს მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა გაეროში შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" ჩაიტანა. მრავალმა მაშინ გაიგო, რა ქვეყანაა საქართველო და როგორი ღირსეული წინაპრები გვყავდა. ჩვენთან აკრედიტებული ელჩების ერთ-ერთი მოვალეობაცაა, რომ მათ ქვეყანაში დამოუკიდებლობის გზაზე მდგარი საქართველოს ისტორია წარმოაჩინონ. გული მწყდება, როდესაც უცხოელი დიპლომატები ცალმხრივად, ზოგჯერ ქვეყნის ინტერესების საპირისპიროდ მოქმედებენ. დიდი და ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნის დესპანი რომ ხარ, პატარა ქვეყნის ინტერესები არ უნდა უგულებელყო. მხედველობაში მყავს საქართველოში გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის ელჩები.

**ჯემალ ივანაძე, სოფელ ჯაბნიძეების მკვიდრი:**

- 50 წელს გადავაბიჯე, ტკბილის ფასი კარგად ვიცი და მწარეც მიგემია. კარგად მახსოვს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომი და მაშინ განვითარებული მოვლენები. ჩვენ ზოგიერთი ქვეყნის ელჩებისგან მხოლოდ აღშფოთება შეგვრჩა და მეტი არა-



ფერი. ჩემთვის საწყენია, როცა ერთხანს ჩვენსავით რუსეთის კლანჭებში მყოფი ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დესპანები საქართველოში განვითარებული მოვლენებისადმი ცალმხრივ დამოკიდებულებას იჩენენ. მათ ჩემი ინტერესებიც გაითვალისწინონ, როცა ქვეყანაში მშვიდობას, აღმშენებლობას, ეროვნული ადათ-წესების, ოჯახური ღირებულებების დაცვას ვუჭერ მხარს!

**ფრიდონ ხუჯაძე, სოფელ ცინარეთის მკვიდრი:**

- წუთისოფელში მარადიული არაფერია, მაგრამ მეგობრობა, მეზობლობა, ადამიანების ერთმანეთისადმი სიყვარული კაცობრიობას დასაბამიდან მოსდგამს. საქართველო მეგობრობისა და სიყვარულის მაგალითი ქვეყანაა და არავის მისცემს ოჯახური ადათ-წესების შებღალვის, უცხო ტრადიციების თავს



მოხვევის უფლებას. პოლიციელი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში წესრიგს იცავს. გულსატკენია, რომ არცერთი ქვეყნის ელჩმა დაზარალებული პოლიციელებისადმი თანადგომა არ გამოხატა. იგივე ითქმის ოპოზიციის მიტინგებზე იმ პირების გამოსვლებთან დაკავშირებით, რომლებიც ქართველ ხალხს რევოლუციისა და დესტაბილიზაციისკენ მოუწოდებენ და ვერცერთი ქვეყნის დესპანის პროტესტი ვერ ვნახეთ.

**ნოდარ კეშერაძე, სოფელ ლაკლაკეთის მკვიდრი:**

- ელჩი აჭარულ დიალექტში მაჭანკალს ნიშნავს. ამ ეტაპზე, ზოგიერთი ქვეყნის დესპანის ქმედებას მე ცუდი მაჭანკლისას შევადარებდი. 70 წელს გადაცილებულს, შვილთაშვილის მომლოდინეს რევოლუციები, ომები და დაპირისპირებები მომწყინდა. ვფიქ-



რობ, რომ ზოგიერთი ქვეყნის ელჩს საქართველოში მშვიდობა და აღმშენებლობა ხელს დიდად არ აძლევს. მათ წინააღმდეგ ვინმემ ხმა თუ აღიმაღლა, ქვეყანას შეძრავენ, მაგრამ თავიანთი ქმედებებით უფსკრულისკენ რომ გვიბიძგებენ, ამის თქმას დანაშაულად გვითვლიან.

**ფატი ჯაყელი, ხიჭაურის დასახლების მკვიდრი:**

- 8 ქალიშვილისა და ვაჟის დედა ყოველდღიურად მათი ბედნიერებისა და კეთილდღეობისთვის ვლოცულობ. ქვეყნად მშვიდობა რომ არ ყოფილიყო, ხიჭაურის დასახლებაში საქართველოს საპატრიარქოს წმინდა აბუსერისძე ტბელის სასწავლო უნივერსიტეტი არ გვექნებოდა, ვერც მართლმადიდებელი ტაძარი აშენდებოდა და ჩემს შთამომავლებს ქრისტიანობისადმი ასეთი განწყობა არ ექნებოდათ. ვერ ვგუობ, როცა და-



მოუკიდებელ ქვეყანაში ნორმალურ განვითარებას არ გვაცლიან. იმ დღის მომსწრეც ვარ, როცა ხიჭაურში გვსტუმრობდა ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ელჩი საქართველოში. ის აღტაცებას ვერ ფარავდა და საქართველოს მომავალი ახარებდა. კელი დეგნანი წინამორბედების მსგავსად საქართველოს მეტად უნდა მოფერებოდა, არადა, თურმე სხვაგვარად მოქმედებდა.

**რამაზ დავითაძე, დაბა შუახევის მკვიდრი:**

- მიხარია და მივესალმები შუახევში უცხოელი ელჩების გამოჩენას. ისინი ჩემთვის მშვიდობის დესპანები არიან. მადლობის მეტი რა გვეთქმის იმ ქვეყნების ელჩებზე, რომლებსაც საქართველოში საქმიანობა დიდ პატივად მიაჩნიათ და ქვეყანაში მიმდინარე სიკეთეებს იზიარებენ, თუმცა ყველაზე ამას ვერ ვიტყვით. 26 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნები მშვიდ გარემოში, ათასობით უცხოელი დამკვირვებლის თანდასწრებით ჩავატარეთ. რატომღაც ზოგი ქვეყნის ელჩმა ეს შედეგი დადებითად არ შეაფასა. ჩვენ ქვეყანაში დაპირისპირება და არეულობა არ



გვინდა, თორემ ყოველგვარი მოწოდებისა და დაფინანსების გარეშე გამოვალთ საკუთარი ხმების დასაცავად. ეს რომ მოვიმოქმედოთ, მგონი, ზოგიერთი ქვეყნის ელჩს გაუხარდება. მაინც არ მინდა ვიფიქრო, რომ მათ საქართველოში არეულობა უფრო ახარებთ, ვიდრე - წესრიგი.

**მინდია ჯოიძე, სოფელ წყაროთის მკვიდრი:**

- ტყუილის მთქმელს, ცრუს და ორგულს ნუ გაიხდი თანამგზავრად, - ასე დაგვმოძღვრა ჩვენმა წინაპარმა. მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში ელჩად რომ მოდიხარ, ჩემი სიხარული უნდა გამაღლებდეს და წუხილის თანამოზიარე უნდა იყო. მრავალმა



განსაცდელმა ქართველებს მოთმინებაც გვასწავლა, მაგრამ დამოუკიდებლობის გზაზე მდგარ ქვეყანას გვაცალეთ, რომ კარგი დაგანახოთ და ცუდი გამოვასწოროთ. აღარ გვინდა სხვისი კარნახით ცხოვრება.

**ნუგზარ ბერიძე, სოფელ გომარდულის მკვიდრი:**

- ჯერ იყო და, საქართველოში შარშან ჩატარებულ არჩევნებს ზოგიერთი ქვეყნის ელჩმა არალეგიტიმური უწოდა. არადა, თავადაც კარგად უწყიან, რომ არჩევნები არ გაყალბებულა. იყოს ოპოზიცია და ჰქონდეს



მხარდაჭერა, მაგრამ იმათ რა დავაშავეთ, ვინც ხმა მმართველ პარტიას მივეცით. ელჩი მართლის მთქმელი და სიმართლის დამნახავი უნდა იყოს, რასაც ზოგიერთი ქვეყნის დესპანისგან ვერ ვხედავთ.

# ვალენტინობის დღე – როცა გრძნობები ყველაზე ხმამაღლა ლაპარაკობენ...

**მარიამ ხითარიშვილი 27 48 93**

***ვალენტინობა ანუ წმინდა ვალენტინის დღე, რომელიც 14 თებერვალს აღინიშნება, ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე რომანტიკული დღესასწაულია, რადგან სიყვარულსა და შეყვარებულებს ეძღვნება. მართალია, წმინდა ვალენტინის დღე კათოლიკურმა ეკლესიამ მე-5 საუკუნეში შემოიღო წმინდანის ხსოვნის პატივსაცემად, მაგრამ ასწლეულების შემდეგ, საეკლესიო დღემ საერო დღესასწაულის სტატუსი შეიძინა და მთელ მსოფლიოში გავრცელდა***

სიყვარულის დღეს ქართველები 15 აპრილს აღვნიშნავთ, მაგრამ ვერ გავექცევით იმ ფაქტს, რომ 14 თებერვალს მთელი მსოფლიო ზეიმობს, მათ შორის, საქართველოც. ამბობენ, სიყვარულს განსაკუთრებული თარიღი არ სჭირდება, რომ ყოველი დღე ისედაც სიყვარულისაა, მაგრამ თუ განვლილ დღეებს გადავხედავთ და გულწრფელები ვიქნებით, ალბათ, უმეტესისთვის სულაც არ ყოფილა ყველა დღე სიყვარულის...

ვალენტინობის დღესასწაულს წყვილების ნაწილი აღნიშნავს, ნაწილი - არა, მაგრამ უმეტესობა თანხმდება, რომ ამ დღეს ქუჩაში მოსეირნე ბედნიერი შეყვარებულების დანახვა ყველას ახარებს. ამ დღეს ყველანი ვიჯერებთ, რომ დედამიწას ნამდვილად სიყვარული ატრიალებს.

ეს დღესასწაული ისეთ გრძნობაზეა დაფუძნებული, არ შეგვიძლია არ გამოვეხმაუროთ, სიყვარული ხომ ყოვლისმომცველია...

გიზიარებთ ჩვენი თანაქალაქელების მოსაზრებებს.

**თათია თათარაშვილი, მსახიობი:**

- სიყვარული რთული და მრავალმხრივი გრძნობაა, რომელსაც შეიძლება სხვადასხვა ფორმა ჰქონდეს - რომანტიკული, მშობლიური, მეგობრული... ის გულისხმობს ღრმა ემოციურ კავშირს, პატივისცემას და მზრუნველობას. ეს არის გრძნობა, რომელიც ადამიანს სხვასთან აერთიანებს, სიხარულს მატებს და ხშირად საკუთარი თავის აღმოჩენაშიც ეხმარება. სიყვარული ხანგრძლივი და მუდმივი პროცესია.

**გიორგი მასალკინი, ფილოსოფოსი:**

- სიყვარულის დეფინიცია არ არსებობს, უფრო სწორად - უამრავია. მე მომწონს შემდეგი: როცა ხვდები, გრძნობ, რომ ვიღაც „სხვა“ შენს თავზე უფრო მეტად გიყვარს, შენთვის ის უაღრესად ფასეულია ან, თუნდაც, ადვილად დათმობ სიცოცხლეს. უბედურია ის კაცი, რომელსაც ამგვარი გრძნობა არ გააჩნია. ვალენტინობის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, უბრალოდ, ამ მხრივ ნაკლებად რომანტიკული ვარ და არ აღვნიშნავ.

**ინგა ჯახუტაშვილი, მომღერალი:**

- ჩემს ცხოვრებაში სიყვარული მთავარი გრძნობაა და ცხოვრების მოტივატორია. პირველ რიგში, სიყვარული ნდობაა მეორე ნახევრის (ცხოვრების პარტნიორის) მიმართ, რომ ერთიანი და სრულყოფილი იყოს ურთიერთობა, რადგან ჩვენ მათ ცხოვრების ბოლომდე ვირჩევთ. მშობელი, შვილი, დედმამიშვილი უკვე თავისთავად არჩეულია. არ მემეტება ადამიანი ამ ქვეყნიდან ამ გრძნობის გარეშე წასასვლელად, რადგან ბედნიერება, სიხარული, წარმატება, თავისუფლება მხოლოდ სიყვარულით მოდის და იგი მარადიულია, როგორც უფალი.

**იოსებ ჯორბენაძე, მხატვარი:**

- სიყვარულზე არ ვლაპარაკობ ხშირად, თუმცა უსიყვარულოდ განვლილი დღე აზრს მოკლებული და სევდიანია. ეს არის განცდა, რომელიც ხან ღმერთის გულთან ჩურჩულითა და კაკუნით, ხან კი უბრალოდ, ნოსტალგიური ფიქრებით გვახსენებს თავს. სიყვარულის გააზრების მრავალი მასშტაბი, მდგომარეობა და გამოცდილება არსებობს. ალისფერი განცდის სხვადასხვაგვარი სიუჟეტი გვაქცევს ერთი დიდი ნაწარმოების გმირებად და თავს ვუძღვნით საკუთარ და შემდგომ სხვის სამშვინველს, რის შედეგადაც გრძნობა ხელოვნებად გადაიქცევა და ხდება მარადიული. არ მიყვარს თარიღი, რომელმაც სიყვარულის დღეობა მიისაკუთრა. ვცდილობ, ვიცხოვრო ყოველწამიერი განცდით, რომ მიყვარს. ეს ზღვა ემოციები ერთი ადამიანისკენ არ არის მიმართული. იგი ქაოსურად ნაწილდება ყველასთვის და ჩემი შემოქმედებითი ყოველდღიურობით ვცდილობ, გავუნაწილო და ყველას ერთნაირად მივულოცო სიყვარულის დღე.

**აჩიკო გოგიტიძე, მომღერალი:**

- რა თქმა უნდა, მეც იმ ადამიანების რიცხვს მივეკუთვნები, რომლებიც ფიქრობენ, რომ სიყვარულისთვის უნდა გათენდეს ყველა დღე და ერთ კალენდარულ დღეზე არ უნდა ხდებოდეს კონცენტრირება, მაგრამ სასიამოვნოა ყველა დღესასწაული, რომელიც სიყვარულით არის ინსპირირებული. ვულოცავ ჩემს საუკეთესო მეუღლეს ამ დღეს და ვთხოვ უფალს, ბედნიერი იყოს ჩემთან და ანამარიასთან ერთად. ყველა დღე სიყვარულის დღესასწაულად ქცეოდეს თქვენს მკითხველს და ზოგადად, ჩვენს ხალხს!

**ირაკლი ფაღავა, მუსიკოსი, პოეტი:**

- გამომდინარე პარტნიორების პერმანენტული ცვალებადობიდან, ყოველთვის არაერთგვაროვანია ჩემი ამ დღესასწაულთან შეხება. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის სულერთია. სულერთია, რადგან თუ სიყვარულის დღესასწაულად გადაქცევა შეგიძლია, მაშინ თარიღს მნიშვნელობა არ აქვს, ხოლო თუ სიყვარულის გამოსახატად თარიღია გადამწყვეტი - ეს სასაცილოა. მივესალმები ისეთი პარტნიორის შეგნებას, რომელსაც ეს თარიღი არ აღელვებს, მაგრამ თუ ის ფიზიკური და ვიზუალური მომხიბვლელობით დააკომპენსირებს, შეიძლება ამ დღის იოლად გადაგორება.

**მედეა ჩარკვიანი, ჟურნალისტი:**

- ვალენტინობის აღნიშვნა წმინდა ვალენტინს უკავშირდება. ლეგენდის თანახმად, იმპერატორ კლავდიუსს სჯეროდა, რომ მარტოხელა მამაკაცი, რომელსაც არც ოჯახი და არც საყვარელი ქალი ჰყავდა, დაოჯახებულზე უკეთ იბრძოდა, ამიტომ ქორწინება აკრძალა, მაგრამ ვალენტინი ჩუმად აქორწინებდა შეყვარებულებს. როცა იმპერატორმა ამის შესახებ შეიტყო, ის სიკვდილით დასაჯა. თავისთავად, ამ დღის აღნიშვნაში ცუდი არაფერია, მით უმეტეს, როცა ამ დღეს შეყვარებულების უმეტესობა ერთმანეთს საჩუქრებს, ტკბილეულს, ყვავილებს, სამკაულს და სპეციალურ ბარათებს ჩუქნის... თუმცა ვფიქრობ, სიყვარულს, მეგობრობას, ჩახუტებას... დღეები არ სჭირდება. როცა გიყვარს, სულში სულ გაზაფხულია და სულ ჰყავის უნაზესი იასამანი. მე რომ მკითხოთ, 21-ე საუკუნე ისეთი ტექნოლოგიური, ცივი და ხელოვნური გახდა, გრძნობები და ემოციები ისე „დაჟანგდა“, ღია ბარათების დღეს დავაწესებდი. მიწერილი „სმს“ და „იმეილი“ ვერასოდეს ჩაანაცვლებს იმ მუხტს და სიფაქიზეს, რაც წერილს და ბარათს მოაქვს, რომელსაც აქვს სურნელი, ფერი და განსხვავებული მღელვარება ახლავს. საინტერესოა, რომ ვალენტინობის პირველი ბარათი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, 1415 წლითაა დათარიღებული და ის პატიმრობაში მყოფ ორლეანის ჰერცოგს ცოლისთვის გაუგზავნია.

**თამილა მეიშვილი, მსახიობი, პედაგოგი, პროფესორი:**

- კაცობრიობა შექმნა სიყვარულმა. ჩემთვის „ვალენტინობას“ დღეს არ ვუკონკრეტებ, რადგან ყოველი დღე სიყვარულისაა. მჯერა და მწამს, რომ კაცობრიობას სიყვარული გადაარჩენს!





**მადონა მჟავანაძე, თეატრმცოდნე:**

- სიყვარული ადამიანის ყველაზე დიდი გრძნობაა. უნდა გიყვარდეს მთელი სამყარო თავისი მრავალფეროვნებით, უნდა გიყვარდეს ადამიანი - პირველ რიგში. ამას წინათ, მეზობლის 6 წლის ბავშვი მეუბნება, რაღაც მინდა გითხრაო. დავიხარე და... ყურში ჩამჩურჩულა - მიყვარხარ! ამაზე დიდი სიხარული და სიამოვნება რა შეიძლება ადამიანმა მიიღოს? რაც შეეხება ქალისა და ვაჟის სიყვარულს... ჩემს ახალგაზრდობაში სიყვარული წერილებით, მიმოწერით გამოიხატებოდა. ეს ისეთი დიდი ბედნიერება იყო... ერთმანეთს ვწერდით წერილებს, 50-60 ფურცელს და შემდეგ დედაჩემს ვაკითხებდი. დედა ფილოლოგი იყო, როცა წაიკითხავდა და მეტყოდა: - ამ ყმაწვილმა წერა იცის და გრამატიკაც არ ეშლებაო, ესე იგი იმ ბიჭთან მიწერ-მოწერის გაგრძელება შემეძლო. თან ბოლოს 5-იანს უწერდა, თითქოს სკოლის მოსწავლე იყო (იცინის). სიმართლე გითხრათ, ასაკთან ერთად სიყვარულის გრძნობა აბსოლუტურად არ ხუნდება. ის ადამიანები, ვინც მიყვარდა, ყველა ისევ ისე მიყვარს. ხშირად ვკითხულობ სოციალურ ქსელებში: არ ენდოთ არავის, არ გასცეთ სიყვარული, უკან არ დაგიბრუნდებათ... ყველაფერი გიბრუნდება უკან. ის, რომ 14 თებერვალი არჩეულია ვალენტინობის და სიყვარულის დღედ, ესეც სიმბოლურია. ადამიანებს უნდოდათ, რაღაც განსაკუთრებულად გამოეხატათ. ძალიან გამიხარდება, თუკი ახალგაზრდები ამ დღეს ჩახუტებულები გაატარებენ და მრავალჯერ ეტყვიან ერთმანეთს: მიყვარხარ!

> ***„ ასაკთან ერთად სიყვარულის გრძნობა აბსოლუტურად არ ხუნდება. ის ადამიანები, ვინც მიყვარდა, ყველა ისევ ისე მიყვარს. ხშირად ვკითხულობ სოციალურ ქსელებში: არ ენდოთ არავის, არ გასცეთ სიყვარული, უკან არ დაგიბრუნდებათ... ყველაფერი გიბრუნდება უკან. ის, რომ 14 თებერვალი არჩეულია ვალენტინობის და სიყვარულის დღედ, ესეც სიმბოლურია. ადამიანებს უნდოდათ, რაღაც განსაკუთრებულად გამოეხატათ. ძალიან გამიხარდება, თუკი ახალგაზრდები ამ დღეს ჩახუტებულები გაატარებენ და მრავალჯერ ეტყვიან ერთმანეთს: მიყვარხარ!***

**ბელა ქებურია, პოეტი:**

- როცა გიყვარს, ცხოვრებისეული თუ საზოგადოებრივი პრობლემების მიუხედავად, ყველაფერი იოლად გადასალახია. ცოდვაა ადამიანი, რომელსაც ნამდვილი სიყვარული არ განუცდია და ის მხოლოდ ვნებასთან თანაზიარობა ჰგონია. რადგან გრძნობა, რომელიც სამყაროში სიცოცხლის საფუძველთა საფუძველია, მიღებაზე მეტად, თვითშეწირვასა და უფრო მეტის გაღებას გულისხმობს... ჩემს სიყვარულზე და, საერთოდ, ყველაფერზე, რაც მე მეხება, ხმამაღლა თქმა მეუხერხულება, თუმცა ბევრს ახსოვს უნივერსიტეტშიც და ქალაქშიც ჩვენი ლეგენდად ქცეული სიყვარულის ისტორია, რომელიც, უამრავი დაბრკოლების მიუხედავად, დღემდე ლამაზად გრძელდება. არ მახსოვს, ვისი სიტყვებია: „სიყვარული იმ მოჩვენებას ჰგავს, რომელზეც ყველა ლაპარაკობს, მაგრამ თვალით არვის უნახავს“, ჩემს შემთხვევაზე ეს გამოთქმა არ ვრცელდება. მას მე ყოველდღე ვხედავ, ვეხები, ვუსმენ, ვისუნთქავ და შევიგრძნობ... ეს მარტო ჩემს ძვირფას მეუღლეს არ ეხება. მასთან ერთად და მისით მიყვარხართ ყველანი, რადგან ბედნიერ ადამიანს უყვარს ყველა და ყველაფერი. გიყვარდეთ, ნურასდროს გაიმეტებთ სიყვარულს დასამსხვრევად, რადგან ცხოვრება სწრაფმდენია, მის გარდა არაფერია ფასეული. ერთი იგავი გამახსენდა, ერთი მოძღვარი მის შეგირდებს დაბადების დღეებზე მუდამ მინის გამჭვირვალე და მყიფე სათამაშოებს ჩუქნიდა. უმეტესობას სახლში მიტანამდე ემსხვრეოდა, ტირილით დაოსებული შვილების შემყურე მშობლები ერთ დღესაც მოძღვართან მივიდნენ და სთხოვეს: - არ აჩუქო ჩვენს შვილებს მინის სათამაშოები, ემტვრევათ, განიცდიან. სჯობს, საერთოდ არ აჩუქოთ, ან ხის სათამაშოებით შეცვალოთო... მოძღვარი ერთხანს სდუმდა და მათ თვალებში დაკვირვებით უყურებდა, მერე კი უპასუხა: - მე, ცოდნასთან ერთად, მათ სიფაქიზეს და გაფრთხილებას ვასწავლი. ერთ დღეს თქვენს შვილებს ჩემს მინის საჩუქრებზე უფრო მყიფე და სათუთ საჩუქარს ჩააბარებენ - გულს და სიყვარულს... ნივთებსაც თუ ვერ უფრთხილდებიან, როგორ შეძლებენ გულისა და სიყვარულის გაფრთხილებას?! ეს ხომ ისაა, რაც ყველაზე მთავარია ამ ქვეყანაზე. მშობლები უსიტყვოდ შებრუნდნენ და წავიდნენ. რას ვჩუქნი? უპირველეს ყოვლისა, ლოცვას... მიდის, მოდის, სძინავს თუ ღვიძავს, სადაც გონება და თვალი ხედავს და სწვდება, ჩუმად, ჩემს გულში უხმოდ ვლოცავ. მერე ყველაფერს, რასაც ვქმნი მისი სიხარული და სიყვარული კვებავს, ასაზრდოებს და მას ეძღვნება. მისი ბუზღუნიც მიყვარს, ხასიათ-უხასიათობაც, დარიან-ავდრიანობაც. ოღონდ კარგად, ჯანმრთელად და ბედნიერად მყავდეს, სხვა დანარჩენი მეათეხარისხოვანია, თუმცა როცა ვწერ, მაშინ სხვაგან ვარ, ჩემი სამყაროს სათუთი გარსით შემობურული, არ უნდა დამირღვიონ მარტოობა, თორემ ყინულის მყიფე ფირფიტასავით ვიმსხვრევი და ტკივილი ყველა ნამსხვრევში ცრემლნარევ ღიმილად აირეკლება, მერე კი... შთაგონებაც წყდება და იმ ლექსს დაუბადებელი შვილივით ვემშვიდობები, რადგან გაგრძელებას იშვიათად ვახერხებ. ეს ლექსი ჩემს მეუღლეს ეძღვნება:

*ხანდახან ხვდები, თუ რაოდენ*
*ვშორეულდები,*
*ხან შარავანდედს, ხანაც ჯვალოს მასხამ*
*მანტიას,*
*ნუ შეწუხდები უსამანო*
*სურვილ-ოცნებით,*
*რადგან, ძვირფასო, ჯერ პოეტი,*
*მ...ე..ე...რ...ე ქალი ვარ!*

სულ მგონია, ბაბუაწვერა ვარ. მოვიდა ცხოვრების ქარიშხალი, ჩემი ფიქრი, დარდი, სიხარული და იმედები ასობით ბალერინად აქცია და გაფრინდა... თუმცა, სხეული მიწაზე დარჩა, რადგან მიწაზე სიყვარულმა დაიჭირა.

# 40 წლის შემდეგ ნაპოვნი დების ისტორია...

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

*რამდენიმე წელია, რაც გაშვილებული ბავშვები ოჯახის წევრებსა და ნათესავებს აქტიურად პოულობენ, რაც ფეისბუქჯგუფის „ვეძებ“ დამსახურებაა. იგი ჟურნალისტმა თამუნა მუსერიძემ შექმნა და ამ სამასათასიან ჯგუფში თავი მოუყარა ადამიანებს, რომლებიც ახლობლებს ეძებენ*



ერთი კვირის წინ გაზეთ „აჭარაში“ მოვიდა ამბავი გაშვილებულ გოგონებზე, რომლებმაც, დახლოებით ერთი თვეა, იპოვეს ერთმანეთი. მათგან ერთ-ერთი ბათუმში ცხოვრობს. ჩვენ დავუკავშირდით დებს და შეხვედრა შედგა, თუმცა ლოლამ და დინამ გვთხოვეს, მათი გვარი კონფიდენციალურად დარჩენილიყო, არც საჯაროდ ფოტოს გამოქვეყნება ისურვეს.

ლოლას ბავშვობიდანვე ჰქონდა ეჭვი, რომ ნაშვილები იყო, რადგან მის მეხსიერებაში ყოველთვის არსებობდა დის მოგონება. 19 წლის იყო, როდესაც ახლობელმა ჰკითხა: შენ ის ნაშვილები გოგო არ ხარ? ამან საბოლოოდ დაარწმუნა საკუთარ ეჭვებში, მიუხედავად ამისა, არავისთვის უკითხავს, იყო თუ არა აყვანილი.

**„*მე და დინა, რადგან ძალიან პატარები ვიყავით, ერთად უნდა გავეშვილებინეთ, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ჩვენი ამყვანები ვერ შეთანხმდნენ. მამა რუსეთიდან რომ დაბრუნდა, მომძებნა, მაგრამ ჩემმა ამყვანმა არ მისცა მოახლოების საშუალება. როგორც გავიგე, მამაჩემი სკოლაში მაკითხავდა, მეხუტებოდა, მეფერებოდა, თუმცა ჩვენთან სახლში ვერ მოდიოდა*“**

- ერთი წელია, რაც ამ თემაზე საუბარი დავიწყე. მივედი აღმზრდელ დედასთან და ვკითხე, მაგრამ მან უარყო და დღემდე არ აღიარებს. ცოტა ხნის წინ დავიწყეთ ნამდვილი დედ-მამის ძებნა, მაგრამ მხოლოდ მამაა ცოცხალი, - გვიყვება ლოლა.

ჩვენ დავინტერესდით, რატომ გააშვილეს ლოლა და მისი და.

- დედა-მამა ერთად ცხოვრობდნენ, მაგრამ მამა რუსეთში წავიდა და აღარ ჩამოსულა. როგორც თავად გვითხრა, ისიც კი არ იცოდა, რომ დინა დაიბადა, არც დედის გარდაცვალების ამბავი გაუგია. ჩვენ არავინ გვყავდა და ამიტომ ბავშვთა სახლში წაგვიყვანეს. მე დაახლოებით სამი წლის ვიყავი, დინა კი ერთის. აქვე გეტყვით გაშვილების ამბავსაც: მე და დინა, რადგან ძალიან პატარები ვიყავით, ერთად უნდა გავეშვილებინეთ, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ჩვენი ამყვანები ვერ შეთანხმდნენ. მამა რუსეთიდან რომ დაბრუნდა, მომძებნა, მაგრამ ჩემმა ამყვანმა არ მისცა მოახლოების საშუალება. როგორც გავიგე, მამაჩემი სკოლაში მაკითხავდა, მეხუტებოდა, მეფერებოდა, თუმცა ჩვენთან სახლში ვერ მოდიოდა. როცა მოვიდა, ჩემმა ამყვანმა დედამ პოლიციის დახმარებით გააგდო, - გვიყვება ლოლა.

რაც შეეხება დინას, მალევე გაიგო, რომ აყვანილი იყო.

- პატარა ვიყავი, როდესაც ამყვანმა დედამ მითხრა, ნაშვილები რომ ვიყავი და არავინ მყავდა. ზოგადად, ჩვენს ოჯახში ეს თემა ტაბუდადებული იყო. ამა წლის 2 იანვარს გავიგე სიმართლე და მას შემდეგ დავიწყე ამაზე საუბარიც, - გვიამბობს დინა.

მისივე თქმით, ყოველთვის ეჭვი ეპარებოდა, რომ არავინ ჰყავდა და ამიტომ ჯგუფის „ვეძებ“ მეშვეობით დაიწყო სავარაუდო ოჯახის წევრების ძებნა. პარალელურად დნმ-ის ტესტი გაიკეთა, სადაც დედის მხრიდან მეორე თაობის ბიძაშვილი აღმოაჩინა. სწორედ ის დაეხმარა მისი ისტორიის გარკვევაში.

- მან მაპოვნინა ბიძა, დედის ძმა, რომელსაც დავუკავშირდი 2025 წლის 1 იანვარს. ბიძაჩემმა მოიკითხა ჩემი და, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ჩემთან ერთად იქნებოდა. ბიძაჩემს ბავშვთა სახლში დასაქმებულები შეჰპირდნენ, რომ თუ გაგვაშვილებდნენ, მხოლოდ - ერთად, თუმცა დაგვაშორეს და მე ამ ამბავში ბავშვთა სახლს ვადანაშაულებ. ბიძაჩემს ლოლას დაბადების მოწმობა ამერიკაში ჰქონდა წაღებული, იქ, სადაც ცხოვრობს, მოწმობის ასლი კი ლოლას ამყვან დედას ჰქონდა. დაბადების მოწმობების კოდები ერთმანეთს შევადარეთ და დაემთხვა. ამასთან, დედაჩემის კარადაში ვიპოვე ფურცელი, რომელზეც ეწერა ჩვენი ბათუმის სახლის მისამართი და ნამდვილი დედის და მამის სახელები. როგორც გაირკვა, ჩვენ ერთდროულად გაგვაშვილეს სხვადასხვა ოჯახში, მათ გაცვალეს მისამართები და შეთანხმდნენ, რომ როცა სრულწლოვნები გავხდებოდით, ერთმანეთს უნდა შევხვედროდით, მაგრამ ასე არ მოხდა, - გვითხრა დინამ. მან დასა და მამასთან შეხვედრის ამბავიც გვიამბო.

- მე და ლოლა ბათუმში შევხვდით ერთმანეთს - ორივესთვის ძალიან ემოციური დღე იყო. რაც შეეხება მამასთან შეხვედრას, თავიდან მისი საკონტაქტო ნომერი მოვიძიეთ. პირველი ლოლა დაუკავშირდა, შემდეგ - მე. ეს ადამიანი ხვდებოდა, რომ შვილმა იპოვა, მაგრამ, გარკვეულწილად, ეჭვი ჰქონდა და ფიქრობდა, ვიღაც ეხუმრებოდა, რადგან მისი ისტორია ძალიან ბევრმა ადამიანმა იცის. როგორც გვითხრა, იცოდა, რომ ერთი შვილი ჰყავდა, მაგრამ იმდენად დიდი ვიზუალური მსგავსება იყო, შეხვედრის შემდეგ ამის უარყოფა არასწორი იქნებოდა. მაინც უნდა ვთქვა, რომ მამის გადაწყვეტილებას ვერ ვამართლებ. მან დედის გარდაცვალების შემდეგ არ აიღო ჩვენზე პასუხისმგებლობა, - გვითხრა დასასრულ.

ჩვენი გაზეთის საშუალებით ვულოცავთ დებს ერთმანეთის პოვნას და წინსვლასა და წარმატებებს ვუსურვებთ.

***მთა***

# „ოღონდ სკოლა აშენდეს და... მიწის საკუთარ ნაკვეთს დავუთმობ“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*დარჩიძეები (დაჩიეთი) შუახევის ცენტრს 30 კილომეტრზე მეტითაა მოშორებული და რაიონის სოფლებს შორის ყველაზე მაღლა მდებარეობს. აქ არსებული საგანმანათლებლო კერა მალე 100 წლის იუბილეს იზეიმებს. გვესაუბრება დარჩიძეების საჯარო სკოლის დირექტორი დავით სურმანიძე*



- უკვე დაწყებულია სამზადისი სოფელში ქართული სკოლის აღდგენის საუკუნოვანი თარიღის აღსანიშნავად. მრავალი სახელოვანი ადამიანი აღიზარდა ამ სკოლის კედლებში. მათ შორის არიან ცნობილი მეცნიერები გივი ცეცხლაძე, ედიშერ ჯაფარიძე, შუახევის რაიონის პირველი პირი ნოდარ ცეცხლაძე, მწერალი შოთა ცეცხლაძე, საქვეყნოდ ცნობილი ექიმები დიმიტრი ცეცხლაძე, აკაკი ფუტკარაძე, ბეჟან ბერიძე, სახალხო მთქმელი და ხელოვანი ბინალ ფუტკარაძე. ისიც აღსანიშნავია, რომ სკოლა თანასოფლელი ექიმის, წუთისოფლიდან ნაადრევად წასული თემურ ცეცხლაძის სახელს ატარებს. აჭარის მთიანეთში არ მეგულება სხვა სკოლა, რომლის კედლებში 40-მდე ცნობილი ექიმი აღზრდილიყოს. გვეამაყება, რომ დარჩიძეებს „ექიმების სოფელსაც“ უწოდებენ. სოფელსა და მარეთის ხეობაში ერთ-ერთი პირველი ექიმი იყო 85 წლის დიმიტრი ცეცხლაძე. მან შეაყვარა აქაურ ახალგაზრდებს ეს პროფესია. ამ ასაკშიც კი ბატონი დიმიტრი და მისი მეუღლე, ცნობილი მწერლის მოსე გვასალიას ქალიშვილი ლენა გვასალია, პროფესიით საქმიანობენ.

- წინა საუკუნის 70-იან წლებამდე, სკოლა ჯერ დაწყებითი, ხოლო შემდეგ 8-წლიანი სტატუსით მოქმედებდა. თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც საშუალო (საჯარო) სკოლაა. მეამაყება, რომ იმ გზას ვაგრძელებ, რომელსაც სათავე მამია ოსიძემ, დიმიტრი მგელაძემ, ბაგრატ დუმბაძემ, მამია ვარშალომიძემ, თამაზ ბერიძემ, სერგო, კუკური ცეცხლაძეებმა, იოსებ აბაშიძემ, ალექსანდრე ბერიძემ და რამაზ ფუტკარაძემ დაუდეს. 10 წელზე მეტია, რაც სკოლის დირექტორობა მანდეს. ეს თანამდებობა მავალდებულებს, ყველა იმ პროცესის ეპიცენტრში ვიყო, რაც დღეს მთის სოფელში მიმდინარეობს. გვერდით დავუდექი დავით ცეცხლაძეს, დავით ფუტკარაძეს, ბეჟან ბერიძეს, როცა სოფლის სახალხო დღესასწაული „დარჩიძეებობა“ წამოვიწყეთ. სოფლის სახელოვანი ადამიანების ინიციატივით, აქ ქართული ჭიდაობის სექცია ამოქმედდა. ჩვენი ინიციატივითა და რეგიონის, შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის თანადგომით, სოფელში ადმინისტრაციული შენობა აიგო, კეთილმოეწყო ცენტრი, შუბანი-დარჩიძეების საავტომობილო გზაზე ბეტონის საფარი დაიგო. სხალთელი მთავარეპისკოპოსის, მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით, საჩინო ტერიტორიაზე ჯვარი აღიმართა. ბედნიერებაა, როცა ვხედავ, რომ ჩემი თანასოფლელები გამონათლევის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში ინათლებიან, ჯვარს იწერენ და მოსალოცად მიდიან. ეს მადლიც იმ ადამიანებიდან მოდის, რომლებმაც საშუალო განათლება ჩვენთან მიიღეს, ახლა ქვეყანასა და უცხოეთში საქმიანობენ. მახსენდება ის წლები, მწერალ შოთა ცეცხლაძეს დაბადებიდან 70 და 80 წლის იუბილეები რომ გადავუხადეთ. მაშინ თურქეთის რესპუბლიკიდან მოპატიჟებულმა სტუმრებმა განაცხადეს, ასეთი ადამიანებით სოფელი კი არა, მრავალი ქვეყანა მოიწონებდა თავსო.

- **დარჩიძეებლები პირველები დაუდექით გვერდით პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის ინიციატივას სახალხო დღესასწაულ „კუნტიჯვრობის“ დაარსებასთან დაკავშირებით.**

- ბატონი ტარიელი მეზობელი სოფლის მკვიდრი იყო. სიცოცხლის ბოლო წლებში მშობლიური კუთხის ისტორიულ წარსულსა და დღევანდელობას იკვლევდა. გმირი ქალის ისტორიაც მან გააცოცხლა და იმ ტერიტორიაზე, სადაც კუტი ქალი დაიღუპა, ჯვრის აღმართვის ინიციატორიც ის იყო. დარჩიძეებლებმა მის წამოწყებას მხარი დავუჭირეთ და დღესასწაულშიც ჩავერთეთ.

- **სკოლის მატერიალური ბაზა თანამედროვე მოთხოვნებს ვერ პასუხობს...**

- მთის სოფლებში სკოლის ხის შენობები რომ ვეღარ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, ეს ჩვენი სკოლის მაგალითზეც დასტურდება. უკვე მზადაა ახალი შენობის პროექტი, რისთვისაც მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობის მისამართით. პრობლემად იქცა ტერიტორიის გამონახვა. ოღონდ სოფელში თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი სკოლა აიგოს და სიტყვას გაძლევთ, ამისთვის საკუთარი მიწის ნაკვეთსაც დავთმობ. სოფელში თუ სკოლა აღარ გვექნება, ჩავთვალოთ, რომ დარჩიძეები ნასოფლარად იქცევა. სკოლაში დასაქმებული 24 პედაგოგიდან ყველა ადგილობრივია. უმრავლესობა სერტიფიცირებულია. სკოლის კურსდამთავრებულები ერთიან ეროვნულ გამოცდებს წარმატებით აბარებენ და სტუდენტები ხდებიან. სხვა სოფლებისგან განსხვავებით, აქ მოსწავლეთა კონტინგენტიც საკმარისია.

- **ექიმის ოჯახში გაზრდილი სამი ძმიდან მხოლოდ თქვენ აირჩიეთ პედაგოგის პროფესია...**

- ამ პოზიციაზე მუშაობით სოფელს, ქვეყანას მეტ სარგებელს მოვუტან. ბაბუას სურდა, პედაგოგიური განათლება მიმეღო. მეც სურვილი ავუსრულე. სამაგიეროდ, ვაჟები ლაშა და ბექა ეუფლებიან ექიმის პროფესიას. მჯერა, წარმატებული სტომატოლოგები იქნებიან. მამაჩემიც სტომატოლოგი იყო, შემდეგ კვალიფიკაცია აიმაღლა. ძმა გიორგიც სტომატოლოგია. ლაშა და ბექა თერაპევტ-ქირურგის, ორთოპედ-იმპლანტოლოგის სპეციალობას ეუფლებიან.

- **სოფლები მოხუცების ამარა რჩება. გამონაკლისი არც დარჩიძეებია. რას ფიქრობთ მის მომავალზე?**

- ის მიდგომები, რომელიც მთის სოფლისა და მისი მკვიდრების მიმართ დღეს გვაქვს, საფუძველს იძლევა, რომ სოფელში ცხოვრება, შრომა ნორმალურად გაგრძელდეს. რამდენიმე წლის წინ არავინ იცოდა, რა იყო საოჯახო სასტუმრო, ვინ იყო უცხოელი და ადგილობრივი ტურისტი. დღეს ყველაფერი ეს სოფლის მკვიდრებისთვის შემოსავლის წყაროა. დარჩიძეებს მთა ჩირუხი ესაზღვრება. უკვე იქაც ჩაიდგა კოტეჯები და მთის სახლები ტურისტების მისაღებად. ქვეყნის, რეგიონის სოფლის მეურნეობის სამინისტროები რიგ პროგრამებს გვთავაზობენ, რომლებიც თანადაფინანსებით ხორციელდება. მსურს მეუღლე ციური ბერიძესთან ერთად, რომელიც სოფლის ექთანია, ამ პროგრამებში ჩავერთო. უკვე მთავრდება სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების კერძო საკუთრებაში დარეგისტრირება, რაც სოფელში მცხოვრებთ საშუალებას გვაძლევს, რიგი შეღავათებით ვისარგებლოთ. ამას „მთის კანონის“ შეღავათებიც ემატება.

# ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი დაიწყო

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

***9 თებერვალს ბაკურიანში საზეიმოდ გაიხსნა ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი, რომელიც 16 თებერვლამდე გასტანს. შეჯიბრების ნაწილს ბაკურიანი უმასპინძლებს, ნაწილს - თბილისი და ბათუმი, სადაც სპორტსმენებს სპეციალურად ამ ფესტივალისთვის მოწყობილი თანამედროვე სპორტული ინფრასტრუქტურა დახვდებათ***

ოლიმპიური ფესტივალისთვის თბილისსა და ბათუმში სპეციალურად აშენდა ორი ყინულის სასახლე. ბათუმში შეჯიბრება ფიგურულ სრიალსა და ციგურებით სრბოლაში მოეწყობა. ოლიმპიური ფესტივალის მოსამზადებელი სამუშაოები რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა.

ფესტივალში, სპორტის რვა სახეობაში (სამთო თხილამურობა, ბიატლონი, თავისუფალი სრიალი, ფიგურული ციგურაობა, ყინულის ჰოკეი, შორტ ტრეკი, თხილამურებით რბოლა, სნოუბორდი) 45 ქვეყნის 1000-მდე სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას. საერთოდ, დელეგაცია, 2000-მდე კაცს შეადგენს. მათ შორის იქნებიან ქართველი მონაწილეები, რომლებიც სამ სახეობაში იასპარეზებენ.

გუშინ ოლიმპიური ფესტივალი ბაკურიანში საზეიმოდ გაიხსნა. სანახაობა ქართული ტრადიციული ელემენტებით იყო დატვირთული, სპორტსმენების აღლუმი ქართული „ხორუმის“ ფონზე გაიმართა, რისთვისაც სპეციალური 30-წუთიანი მუსიკალური კომპოზიცია შეიქმნა.

აღიმართა ჩვენი ეროვნული დროშა, ოლიმპიური ცეცხლი ბაკურიანის ცენტრალურ პარკში აინთო, ფესტივალმა კი ოფიციალურად სტარტი დღეს აიღო.

ცერემონიაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს მთავრობის მეთაური ირაკლი კობახიძე, ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი სპიროს კაპრალოსი და საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელი ლერი ხაბელოვი.




გახსნის ცერემონიაზე სპორტსმენების ტრადიციული აღლუმი გაიმართა. მონაწილეებმა ოლიმპიური ფიცი დადეს, ღონისძიების ბოლოს კი ბაკურიანის ცენტრალურ პარკში ოლიმპიური ცეცხლი ქართველმა სამთო მოთხილამურე ანასტასია მირიანაშვილმა აანთო. ფესტივალი გახსნილად საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ ყაველაშვილმა გამოაცხადა.

ქვეყნისთვის ეს ღონისძიება განსაკუთრებული მოვლენაა, რადგან პირველად მასპინძლობს ზამთრის ფესტივალს. 2015 წელს საქართველოში წარმატებით ჩატარდა ზაფხულის ოლიმპიური ფესტივალი და ევროპაში მერვე ქვეყანა ვართ როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის ფესტივალის მასპინძელი.

საქართველოდან სპორტის სამ სახეობაში (ფიგურული ციგურაობა, სამთო თხილამურობა და ბიატლონი) რვა სპორტსმენი იასპარეზებს.

ქვეყნის ღირსებას სამთო თხილამურობაში დაიცავენ იასონ ვეზდენი, გიორგი ჯაფარიძე, ირაკლი ხერგიანი, გოგა გულედანი, ანასტასია მირიანაშვილი, ნელი უსტიმენკო, ფიგურულ ციგურაობაში - ინგა გურგენიძე, ბიატლონში - შიო ქუჩუკიანი.

# სიახლე – შუახევის მუნიციპალიტეტის მერიაში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14



***ვიდრე შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი პაატა ქათამაძე დამსწრე საზოგადოებას შარშან გაწეული საქმიანობის ანგარიშს წარუდგენდა და წლევანდელ პროგრამებს გააცნობდა, შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ შეკრებილებს სიახლე გააცნო***

როგორც მან აღნიშნა, „ამიერიდან მერიის ყველა სამსახურის უფროსი საზოგადოებას გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს ჩააბარებს და მომავალ გეგმებზე ისაუბრებს. ეს შესაძლებლობას მოგვცემს საზოგადოება ინფორმირებული იყოს პასუხისმგებელი პირის საქმიანობაზე და მას მეტი მუშაობისკენ მოუწოდოს“.

ითქვა, რომ შარშან 18 მიზნობრივი პროგრამა განხორციელდა, მათგან 3 ახალი სხვადასხვა სახის მომსახურებით 3000-ზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა. წელს პროგრამების ბიუჯეტი მილიონ 200 000 ლარით გაზრდილია. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტი 2 740 700 ლარს დახარჯავს. ხორციელდება 25 მიზნობრივი პროგრამა, მათ შორის ახალია: - პერსონალური ასისტენტის მომსახურების, პაციენტის განსაკუთრებული სამედიცინო საჭიროებებით უზრუნველყოფის, უსინათლოთა საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფის, 18 წლამდე შშმ ბავშვთა კლიმატოთერაპიის საკურორტო-სარეაბილიტაციო, ახალშობილთა მატერიალური დახმარების, ონკოლოგიურ და ხანგრძლივ მკურნალობას დაქვემდებარებულ ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარებისა და მრავალშვილიანი ოჯახების წევრი სტუდენტების ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამა.

- მუნიციპალური პროგრამები მოიცავს თითქმის ყველა მოწყვლად ჯგუფს, მორგებულია ადგილობრივების საჭიროებებზე და მიზნად ისახავს სამედიცინო მომსახურებაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდას. მოქალაქეებს, რომლებიც მერიის ჯანდაცვის პროგრამების კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებენ, ფინანსური დახმარება გაეწევათ მერის სარეზერვო ფონდიდან, - თქვა „აჭარასთან“ საუბრისას ომარ ტაკიძემ.

## ადგილის დედა

# დრო დროს გაუძლებს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***მდინარეების ჩირუხისწყლისა და ტბეთისწყლის გასაყარზე, ოქროპილაურის ისტორიულ ციხესთან მდებარეობს რამდენიმეკომლიანი უბანი - დრო. მე-20 საუკუნის 40-იან წლებამდე ამ ტერიტორიაზე გადიოდა მარეთის ხეობის სოფლების დამაკავშირებელი საცალფეხო გზა, რომელიც შუა საუკუნეების საქარავნო გზის ერთი შტო იყო და დანდალოს თაღოვანი ხიდიდან იწყებოდა***

მგზავრს მარეთის ხეობის სოფლებში მისასვლელად მხოლოდ ერთი მდინარის - ტბეთისწყლის გადაკვეთა უწევდა, რომელზეც ხის ხიდი ყოფილა. დროზე გავლით მიმოდიოდნენ სოფელ ჯაბნიძეების მცხოვრებლები. ეს უმოკლესი საცალფეხო ბილიკი ახლაც არ კარგავს მნიშვნელობას.

დროს ტერიტორიაზე არსებული სავარგულები მოსავლიანია. აქაურ მიწაზე კარგად ხარობს ვაზი, კურკოვანი, კაკლოვანი და თესლოვანი ხილი, ბაღჩეულ-ბოსტნეული. გვალვიან ზაფხულში დროს მიწებზე დარგულ-დათესილს სიცხე წვავდა და მოსავალსაც ნაკლებს იღებდნენ. წლების წინ, კვირიაულივერხვანა-დროს სარწყავი არხის გამოყვანის შემდეგ, მორწყული ნაკვეთები ბარაქიან და ხარისხიან მოსავალს იძლევა.

მკვლევარებისა და უბნის უხუცესების ნათქვამს თუ ვერწმუნებით, დროს დასახლებას 19-საუკუნოვანი ისტორია აქვს, რასაც აქ შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები და აწ განსვენებულ მერჯან დავითაძის საცხოვრებელ სახლში შემონახული საოჯახო რელიკვია - ხანჯალი ადასტურებდა. ეს ხანჯალი, თურმე, ხელიდან ხელში გადადიოდა და, მერჯანის შთამომავლების თქმით, ვიღაცამ საერთოდ გადამალა.

მე-20 საუკუნის დასაწყისში, როცა ბათუმი-ხულოს საავტომობილო გზა კეთდებოდა, საქმეში დროელებიც ჩაერთნენ. მაშინ სოფელს რამდენიმე კომლი გამოეყო და ნაწილი ახლანდელი ოქროპილაურის ტერიტორიაზე დასახლდა. ისიდორე, შაქირ, ახმედ დავითაძეები აღნიშნავდნენ, რომ მათი ადრინდელი სამოსახლო დრო იყო.

დრო ჩირუხისწყლის მარცხენა ნაპირზეა. ამ უბანს ეკუთვნოდა ის ოჯახებიც, რომლებიც მდინარის მარჯვენა ნაპირზე სახლობდნენ. ის ტერიტორია ახლა ნასახლარია. როცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სამებაში დავითაძეების გვარი დალოცა, გვარს ამ უბნიდან და ოქროპილაურიდან ბათუმსა და თბილისში გადასული სარდიონ და ავთანდილ დავითაძეები წინამძღოლობდნენ. ავთანდილი ერთ ხანს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებელიც იყო.

ალალი, კეთილსინდისიერი შრომით არიან გამორჩეული დროს მკვიდრები. მდინარე ტბეთისწყალზე ხიდის აშენება რომ მოითხოვეს და დაფინანსებაც მოიპოვეს, სამშენებლო სამუშაოები საინიციატივო წესით შეასრულეს. შოთა, ნოდარ, დემო, დურსუნ დავითაძეებს ყველანი გვერდით დაუდგნენ.

უბანში ბეტონისსაფარიანი გზა შედის და ტერიტორია ლამპიონებით ნათდება. დასახლება პირველად რომ ნახა ცნობილმა პოეტმა, საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის „ზე-კართან“ მონაწილე ნინო მოდრეკილაძემ, მას ლექსიც მიუძღვნა. აი, ისიც:

***დრო***
***(სოფელი მთიან აჭარაში)***

*აჭარისწყალში მირონი ვიცხე,*
*ნათლობის დღიდან დავალ*
*უხორცო,*
*სული ავიდგი, ოთოლთას ციხეს*
*გახსნილი შუბლი რომ*
*შევუხორცო.*



*დრო კალენდარი არ არის ახლა,*
*არც ნახატია, ტილო ფერებით,*
*სოფელი არის აჭარის მთასთან,*
*მომავალს ეძებს დრო*
*გამეტებით...*
*წრე შემოვხაზე მტკივანი თითით,*
*ცად სული დამაქვს უხსოვარ*
*დროში,*
*რა არის ჩემი მამულის იქით,*
*არც ერთი სიტყვა, არც ერთი*
*გროში.*
*აქ მზის სხივები ცეკვავენ*
*„ხორუმს“,*
*„განდაგანას“ კი მღერიან ქვები,*
*ყორნები ციხის სთელავენ*
*ქონგურს*
*და ხუნდებიან ძველი ამბები.*
*დღენი მტრობენ და მეცილებიან,*
*ციხეს შუბლი რომ ვერ*
*შევუხორცო,*
*დროდან - ზეცამდე დიდი გზებია*
*და მე ამ გზებზე დავალ*
*უხორცო“.*

დროსაც ტოვებს მოსახლეობა. უმრავლესობა სოფელ ჯაბნიძეების ტერიტორიაზე განვითარებულ მეწყრულ პროცესებს განერიდა. ძმები ჯამბულ და ემზარ დავითაძეები დაბა შუახევის ცენტრში დასახლდნენ, მაგრამ დროში დარჩენილ მამაპაპისეულ კერებს მაინც არ ავერანებენ. მუდმივი მცხოვრებლებიდან აქ მხოლოდ 5 ოჯახი შემორჩა. იმედს ვიტოვებთ, რომ დრო დროს გაუძლებს, არ დაცარიელდება და ისტორიულ უბანში ცხოვრება გაგრძელდება.

# ანდრია ფუტკარაძეს

მითიურ-ქველურ ზრახვებით
სწრაფვა მზის თანაფარდია,
ჰეროიკული აღმასვლის
გვირგვინს გილოცავთ, ანდრია!
გზები გაქელე სიძნელის,
ლაბირინთული, კლდოვანი
და დაიმკვიდრე ალპური
სახელი, ლაჟვარდოვანი.
გამბედაობა-სიმარჯვემ
შუქურ-ვარსკვლავად გაქცია,
რეკორდულ-პოპულარობით
მოხიბლე ევროაზია.
დედაზე ხოტბა-გალობით
ჰანგი აჟღერე ქართული,
განავრცე ანდამატური
ღირსება შარავანდული.
მომავალს გაგიჩირაღდნებს
ტრიუმფალური ტიტული,
ვით ზარნიშ-ვარაყიანი
მწვერვალი, ცადაზიდული.
ეამაყები სამშობლოს
ლეგენდარული ყმაწვილი,
იერ-ბაჯაღლო პრესტიჟით
ზენიტურ სივრცის ნაწილი.
შენი მიზნები ხალასი,
მჭვირვალი და შუქ-ბადრია,
სალუტურ გრგვინვა-ქუხილით
წინსვლას გისურვებთ, ანდრია!

**გურამ არძენაძე,**
**პოეტი აკადემიკოსი**

(R)

## განცხადება

შპს „გეომარის“ თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მეზღვაური
**ნიკოლოზ (გია) ჯაში**
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე
ლიტერატურული რედაქტორი ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 13/02/25, 18 50 სთ.

დირექტორი მამუკა ბერიძე

# ნინო მოდრეკილაძის „მეს“ დასასრული თუ ტკივილიანი ტრანსფორმაცია

**მარიამ ხითარიშვილი 27 48 93**



*დღეს უნივერსიტეტ „ალტერბრიჯში“ პოეტ **ნინო მოდრეკილაძის** კრებულის „აღარმე“ პრეზენტაცია გაიმართება. როგორც კრებულის რედაქტორი დავით ხარატიშვილი ამბობს, ნინო მოდრეკილაძე თავისი პოეტური შემოქმედებით დიდი ხანია მკითხველს ანებივრებს, მის პოეზიაში მუსიკობს სულის სიღრმისეული განცდები, იმედგაცრუებათა იარები, რასაც, მეტნაკლებად, თითოეული ადამიანი გადის. დღეს ავტორი თავის შემოქმედებაზე გვესაუბრება.*

**- ქალბატონო ნინო, როცა პირველი ლექსი დაწერეთ...**

- 9 აპრილის შემდგომი პერიოდი იყო და ჩემი ბავშვური აღქმა გამძაფრებულ ემოციებში მაცხოვრებდა. ლექსები, მართალია, ბავშვური, მაგრამ ძალიან გულწრფელი და პატრიოტული გამომდიოდა. ქართლის პროვინციულ, მშვიდ ქალაქში გავიზარდე. ვწერდი სამშობლოზე, ადამიანებზე, ჩემი სოფლის მთებზე... მაშინ ერთსახა, მწვანეყდიანი რვეულები იყო. ერთი ასეთი რვეული ჩემმა მეზობელმა წაიღო... ეს ქალბატონი გახლდათ კასპის რაიონულ გაზეთ „განთიადის“ რედაქტორი ვალიდა უზაძე. აღმოჩნდა, რომ ქალბატონმა ვალიდამ ჩემი ლექსები გაზეთში დაბეჭდა. იმ პერიოდში შემოქმედ მოსწავლეთა რეგიონული კონკურსი გამოცხადებულა და ჩემი ლექსები აღმოჩნდა დღეს ცნობილი კლასიკოსის, პოეტ ჯემალ ინჯიას ხელთ. ზღაპარივით არის: ბატონმა ჯემალმა ჩემი ლექსი, როგორც ერთ-ერთი გამარჯვებული, დაბეჭდა კრებულში ,,ოცნება“ და მიმიწვია გორში. ძალიან პატარა ვიყავი, ასე - თორმეტი წლის. ეს იყო შემთხვევა, როცა სწორი ადამიანები გამოჩნდნენ ჩემს ცხოვრებაში და სწორი მიმართულება მომცეს.

**- შარშანწინ გაზეთ „აჭარის“ სტუმარი იყავით. ამ დროის განმავლობაში როგორ წარიმართა თქვენი შემოქმედებითი ცხოვრება?**

- თქვენს რედაქციას მადლობას მოვახსენებ მუდმივი მხარდაჭერისთვის. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან აჭარა ერთ-ერთი გამორჩეულად საყვარელი მხარეა ჩემთვის. რა თქმა უნდა, შემოქმედებითი და პიროვნული ზრდის გზა არ შემიჩერებია, გამოვეცი საბავშვო ლექსების წიგნი და მოგვიანებით - სადიდოც. მონაწილეობა მივიღე მნიშვნელოვან საერთაშორისო ფესტივალში, იყო ლიტერატურული პრემიებიც.

**- იაკობ გოგებაშვილის სახელობის ლიტერატურული პრემია მოგენიჭათ წიგნისთვის „მზე მეწვია მე!“ გვიამბეთ ამის შესახებ...**

- ეს პრემია განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ჩემთვის, გარდა იმისა, რომ დიდი იაკობის ღვაწლმოსილი მოღვაწეობა ფასდაუდებელია, ის, როგორც გადმოცემით ვიცი, ხშირად ისვენებდა ჩემს სოფელში, „კავთისხევში“ და ბავშვობიდან მისი სახელისადმი განსაკუთრებული მოწიწება, კრძალვა მაქვს.

**- თქვენი ლექსების კრებული „აღარმე“ წელს იხილა მკითხველმა. 14 თებერვალს ალტერბრიჯში მისი პრეზენტაცია გაიმართება...**

- „აღარმე“ არის ბოლო ორი წლის განმავლობაში დაწერილი ლექსების კრებული. განსხვავებული ხედვის, ემოციებისა და შთაგონების ნაზავია. რამდენიმე ძველი ლექსიც შევიდა, რედაქტორის ნების გათვალისწინებით. წიგნი დაიბეჭდა გამომცემლობაში „ჩემი გამომცემლობა“. გამომცემელი გახლავთ ოლიკო ცისკარიშვილი, რედაქტორი - დავით ხარატიშვილი, ყდის დიზაინერი - ნატალია ანანიაშვილი, თუმცა დიზაინის იდეა მე მეკუთვნის. წიგნის სათაური ავიღე ბათუმის „ლექსების გამოფენის“ გამარჯვებული მინიატურის სათაურიდან.

**- ლექსები, როგორც სულის ბიოგრაფია - ამ შეხედულებას იზიარებთ? შეძელით საკუთარი „მეს“ რეალიზება?**

- ძალიან ლამაზად თქვით... რა თქმა უნდა, ერთგვარი სულის ბიოგრაფიაც არის, სულის ანარეკლიც. ვფიქრობ, ბოლომდე ვერ დაემალები მკითხველს, სადღაც დაგინახავს, რაღაცასთან გაგაიგივებს, თუმცა, არის მოსაზრებაც, რომ პოეზია არის ის, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო. მე და „აღარმე“... „მეს“ დასასრული თუ ტკივილიანი ტრანსფორმაცია... ჯერ კიდევ შინაგანი ბრძოლებია, ვერ ვიტყვი, რომ წერტილის დასმას ან დასკვნების გამოტანას მოვახერხებ. სხვა ხედვაში გადავედი. ვნახოთ.

**- რა გასწავლათ ცხოვრებამ? რას ურჩევთ მათ, ვინც ახლა გამოდის ასპარეზზე?**

- ყველას ვურჩევ, ნურავის დაემსგავსებიან... და როგორც ხდება ხოლმე - ჯერ ვერ გამჩნევენ, მერე დაგცინიან, მერე ხვდებიან, რომ ნამდვილი ხარ.

**- რას თვლით საუკეთესო თვისებად?**

- შენი თავი არ ითამაშო, იყო „შენნაირი“ და სიკეთის გზით იარო.

**- თქვენ და ოჯახი... ოჯახი სულის საგნად რომ იქცეს, ვისზეა დამოკიდებული?**

- ოჯახი არის წიგნი, სადაც იწერება ყველაზე ძვირფასი თავგადასავალი. ჩემს ოჯახში პატივს სცემენ როგორც უფროსებს, ასევე უმცროსებს. ეს წიგნი გადაშლილია და ყველა კითხულობს, ერთადერთი ენა აქ სიყვარულის ენაა.

**- თქვენი დამოკიდებულება ბუნებასთან...**

- ბუნება სულ მენატრება, გამომდინარე დატვირთული დღის განრიგიდან. ბუნებაში რომ ვარ, ვივსები სასიცოცხლო და შემოქმედებითი ენერგიით.

**- როგორ შეაფასებთ დღევანდელ ლიტერატურულ ცხოვრებას, მიმდინარე პროცესებს? ჩვენი რეალობა რამდენად ასაზრდოებს ლიტერატურას და მოქმედებს მის განვითარებასა და ხარისხზე?**

- ლიტერატურული პროცესები, რა თქმა, უნდა, უწყვეტია და საინტერესო. ყველას თავისი ნიშა აქვს. მე მიყვარს ჩემი დამოუკიდებლობა და შევეგუე იმას, რომ ზოგი სიკეთე დაგვიანებით მოდის, მაგრამ მადლობა უფალს, მყავს მკითხველი და ეს, დამეთანხმებით, დიდი ფუფუნებაა.

**- ციფრული სამყარო და თქვენ...**

- ციფრულ სამყაროს პირადი ურთიერთობები მირჩევნია, შეხვედრა ფინჯან ყავაზე, გასეირნება, საუბარი, რაც უკვე სანატრელი გახდა.

**- თავისუფლების თქვენეული აღქმა...**

- თავისუფლებაა, გყავდეს შინაგანი ცენზორი და მხოლოდ მას უსმინო.

**- მწერალი, ვისთანაც ისურვებდით დიალოგს...**

- ფშაველი პოეტი ქალი ხვარამზე.

**- კითხვა, რომელიც ხშირად გიჩნდებათ და... რას უპასუხებთ?**

- შეკითხვები ნაკლებად მიჩნდება, უფრო მშვიდი დამკვირვებელი და მოფიქრალი ვარ.

# გურამ არძენაძე – ექსპრომტის ოსტატი

**მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97**



*ადამიანები ერთმანეთისაგან არა მხოლოდ გარეგნობით, არამედ შინაგანი კულტურით, განათლებით განსხვავდებიან, ზოგს უფალი გამორჩეულ ნიჭსაც დააბერტყავს. ასეთია გურამ არძენაძე, ლექსის ექსპრომტად შექმნის ოსტატი*

გურამ არძენაძე წარმოშობით ქედის რაიონის სოფელ დანდალოდანაა. მერვე კლასში იყო, როცა მისი პირველი ლექსი „მშობლიურო ჩემო სკოლავ“ ქედის რაიონულ გაზეთში „კოლმეურნის ხმა“ გამოქვეყნდა. მას შემდეგ, პერიოდულად, სხვადასხვა ადგილობრივ თუ რესპუბლიკურ გაზეთებშიც იბეჭდებოდა, მათ შორის, „ნორჩი ლენინელში“, „ახალგაზრდა კომუნისტში“, „სოფლის ცხოვრებაში“, „აპფსნი ყაფში“ (აფხაზეთში გამომავალ გაზეთში). 2015 წელს ქუთაისის მწერალთა ყოველთვიურ ლიტერატურულ ჟურნალ „განთიადში“ მისი პოემა „ძმობა ფიცვერცხლით ნაჭდევი, საუფლო მარადისობის“ დაიბეჭდა.

მოგვიანებით საცხოვრებლად ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა აჭყვაში გადავიდა, სადაც პედაგოგიურ-საზოგადოებრივი საქმიანობა გააგრძელა. მალე უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის წოდება მიანიჭეს. სკოლის პედაგოგობასთან ერთად, ადგილობრივი სასოფლო კლუბის გამგეობაც ჰქონდა შეთავსებული... წარმატებული მუშაობის გამო მრავალი მადლობა, სიგელი, დიპლომი და ფასიანი საჩუქარი აქვს მიღებული.

განიცდის, რომ რამდენიმე წლის წინ მის საცხოვრებელ სახლში გაჩენილმა ხანძარმა ყველაფერი გაანადგურა - სახლი, საკმაოდ მდიდარი საკუთარი ბიბლიოთეკა, მხატვრული ნამუშევრები, ჯილდოები...

გურამ არძენაძეს ნახევარი საუკუნის პედაგოგიური სტაჟი აქვს, ოთხი შვილით, ოთხი შვილიშვილითა და ორი შვილთაშვილითაც ხარობს.

ეს ბუნებით ხალისიანი ადამიანი, ყველგან თავის ნიჭს ავლენს, არავითარი მომზადება არ სჭირდება, რომ ერთ-ორსტროფიანი ექსპრომტი მოგიძღვნას. ხან სახელს შეგეკითხება და სახელზე ააწყობს ტექსტის შინაარსს, ხანაც - გვარზე. მასთან არ მოიწყენთ.

ამასწინათ, ავტობუსში ამოვიდა, მე ვერ შემნიშნა... ისეთი სტროფები გამოუცხო გვერდით მდგომებს, რომ ყველა გამხიარულდა. ერთხელ, ქობულეთის ბაზარში მყოფს, გამყიდველმა ქალბატონმა სთხოვა, 12 ქვრივი ქალი ვსხედვართ აქ და ლექსი ჩვენც მოგვიძღვენითო. რა თქმა უნდა, იმ წამსვე „მიართვა“ მათ „ცხელ-ცხელი“ სტროფები. ერთხელ დიდ პოეტ ზურაბ გორგილაძესაც მიუძღვნა ექსპრომტი შეხვედრისას. უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი სკოლაში ადრინდელ და ამჟამინდელ სწავლებას ადარებს ერთმანეთს და ამბობს, რომ ადრე მეტი კონტროლი იყო, რაც არ იყო ცუდი. ქვეყნის მოწყობაზეც თავისი შეხედულება აქვს - სახელმწიფოს სათავეში პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები უნდა იყვნენ, რომლებიც ქვეყნის კეთილდღეობაზე უფრო მეტს იფიქრებენ, ვიდრე საკუთარ თავზეო, ადრე ერთმანეთის პატივისცემაც მეტი იყოო.

ამ რამდენიმე ხნის წინ კოლხეთი-ფაზისის საერო-სამეცნიერო საერთაშორისო აკადემიამ უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე გურამ არძენაძე აკადემიკოსად აირჩია. ამასთან დაკავშირებით არაერთი მილოცვა მიიღო.

„ბატონი გურამ არძენაძე (არსენაძე), როგორც უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი, სრულქმნილი და მაჟორული ხმის პოეტი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ლექსის სახელდახელოდ შეთხზვისა და წარმოთქმის შეუდარებელი ოსტატი, ფაზისის სამეცნიერო საერთაშორისო აკადემიამ აკადემიკოსად აირჩია. სახელოვანი მგოსნისადმი ამ დამსახურებულმა პატივისცემამ, აღაფრთოვანა დიდი და პატარა, რადგან მას მისი პირადი გამოსვლებითა და რადიო-ტელევიზიით იცნობს ხალხის უმრავლესობა და მისი ქება-დიდების ხმა ისმის ყველგან. არძენაძეთა საგვარეულო სასიქადულო პოეტსა და მოღვაწეს, ბატონ გურამს ხალხთან ერთად ვულოცავთ აკადემიკოსობას. უსამანო აღმასვლას, დიდხანს სიცოცხლეს, დიდ წარმატებებს ვუსურვებთ პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში“, - წერს არძენაძეების საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი პეტრე არძენაძე.

„უმაღლესი კატეგორიის პედაგოგს, ექსპრომტის ნიჭით აღზევებულ სახალხო მგოსანს, ჭეშმარიტ პოეტს, საზოგადო მოღვაწესა და სახელოვან მამულიშვილს, ბატონ გურამ არძენაძეს შუახევის რაიონის სოფელ ნიგაზეულში მცხოვრებ მოსახლეობასთან ერთად, სელიმ ხიმშიაშვილის საგვარეულოს წარმომადგენლები, დედააჭარის სახელით გულითადად ვულოცავთ აკადემიკოსის წოდების მინიჭებას და პრესტიჟ-სახელით აღზევებაგანდიდებას. სახელის მოხვეჭა ხომ ზენიტური მწვერვალის გვირგვინი და მარადიული უკვდავების ედემური შარავანდედია“, -ასე ულოცავს მას პოეტი, პუბლიცისტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე და აკადემიკოსი გურამ ხიმშიაშვილი.

ამ საგაზეთო წერილს რომ ვამზადებდით, ბატონი გურამი რედაქციაში გვეწვია. მან ჩვეული მახვილსიტყვიერებით გაგვამხიარულა და სამახსოვროდ ერთი „საერთო“ სტროფიც დაგვიტოვა: „აქეთ-იქით გამირბის ეს ოხერი თვალები, რა კარგია - ხანდახან მეხვევიან ქალები“.

ჯანის სიმრთელეს და დღეგრძელობას ვუსურვებთ ბატონ გურამს.